პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

14 თებერვალი. სამშაბათი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 35 სამშაბათი, 14 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი
სამშაბათი, 14 თებერვალი 1922 წ. № 35

## საქართველოს კომუნისტ. პარტიის სამდივნოსაგან

პრეზიდიუმის დადგენილებით ცეკას პლენუმი დანიშნულია 17 თებერვლისათვის. პროვინციაში მყოფი ც. კ. წევრები უნდა ჩამოვიდენ იმ დღისთვის ქ. თბილისში.

ც. კ. სამდივნო.

## ყველა მაზრის პარტკომებს და რაიკომებს საქართველოს კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა დაწესებულებებს

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი გაცნობებთ, რომ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებებით შემდგარი არის სამდივნო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. მამია ორახელაშვილი, მამულია სამსონი და საბაშვილი. მთელი კორესპონდენცია უნდა გადაიგზავნოს ამ მისამართით (რუსთაველის პროსპექტი სახლი № 22) ს. კ. პ. ც. კ.

საიდუმლო კორესპონდენციები გამოიგზავნება ამავე მისამართით, წარწერით: „საიდუმლო“ პირადათ ც. კ—ს მდივანს. აკრძალულია კორესპონდენციების გამოგზავნა რომელიმე მდივნის გვარზე.

ც. კ. სამდივნო.

## ქართველ ხალხის არამკითხე „აპეკუნები“

ასეთი არამკითხე „აპეკუნების“ ასეთი ძალათმაცხოვნე „მზრუნველების“ როლში წინეთაც და ახლაც გამოდიან ხალხის მატყუარები, მუშათა კლასსის გამცემლები—ქართველ მენშევიკების ბელადები — ჟორდანია, ჩხეიძე, რამიშვილები, წერეთლები და კომპანია. მას შემდეგაც კი, რაც ქართველმა მუშებმა და გლეხებმა ზურგი შეაქციეს ამ ვაჟბატონებს, მას შემდეგაც კი რაც ქართველმა მშრომელმა მასსამ აშკარათ, ყველას დასანახავათ დაგმო მენშევიკების მოღვაწეობა, რომელიც გამოიხატა ამ ვაჟბატონების მხრით საქართველოს მუშების და გლეხების ღალატში, შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ ჟორდანიები, ჩხეიძეები და მათი ძმანი ხელს აიღებდენ ქართველ ხალხისთვის არამკითხე მზრუნველობაზე და ხმას ჩაიწყვეტდენ. მაგრამ ქართველი მენშევიკები როგორი მატყუარები და თვალთმაქცები იქნებოდენ, თუ ამაზე, თუ ასეთ როლზე ხელს აიღებდენ. როგორც ნათქვამია,—კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო,—ისეა ამათ შესახებაც.

ევროპის იმპერიალისტური გაზეთები დღე-მუდამ სულ ახალ-ახალ ცნობებს გვაწვდიან ბ. ჟორდანია—ჩხეიძე—წერეთლების ამგვარი „მზრუნველობის“ და „აპეკუნობის“ შესახებ. ასე, მაგ., ევროპის ბურჟუაზიული გაზეთების უკანასკნელი ნომრები კიდევ გვამცნობენ ამ ვაჟბატონების ქართველი ხალხისთვის „მზრუნველობის“ ერთ ამბავს. ბ-ნ ნ. ჟორდანიას შეუთხზავს და ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოების უზენაეს საბჭოსთვის წარუდგენია კიდევ ერთი ახალი „ნოტა“, მასთან ბ. ჟორდანია ხელს აწერს ამ ნოტას როგორც მეთაური საქართველოს მთავრობისა. მარტო ის ფაქტი, რომ ეს ვაჟბატონები დღემდის თავის თავს საქართველოს მთავრობათ თვლიან, აშკარათ ღაღადებს იმაზე, თუ ვისთან, რა გაუსწორებელ ავანტიურისტებთან, რა მატრაკვეცებთან გვაქვს ჩვენ საქმე. მიუხედავათ ამისა, ერთხელ კიდევ საჭიროა ამ ვაჟბატონების მოქმედებისთვის ნიღაბის ახდა მათი ზოგიერთ „საგმირო საქმეების“ მზეზე, სინათლეზე გამოტანა.

მენშევიკების ბელადების უკანასკნელი „ნოტა“ დაწერილია გენუის კონფერენციის მოწვევის გამო. მენშევიკები ეპოტინებიან ამ კონფერენციას ისე, როგორც წყალწაღებული კაცი—ხავს ჩამოეკიდება ხოლმე. მდგომარეობა, რათქმა უნდა, მეტათ უიმედოა. როგორც ვიცით, მენშევიკების მთავრობა იმიტომ გაიქცა საქართველოდან და შეეხიზნა ევროპის იმპერიალისტებს, რომ იგი ფიქრობდა ინგლის საფრანგეთის იმპერიალისტურ ჯარების მოყვანას საქართველოში და, მაშასადამე, ამ გზით ისევ თავის ბატონობის აღდგენას აქ. ამ იმედით სამარცხვინოთ გაქცეულმა მენშევიკებმა მიაშურეს საერთაშორისო მუშათა კლასსის მძარცველებს და მყვლეფელებს საქართველოდან ავაზაკურათ გატაცებულ დიდ ძალი განძით და სიმდიდრით. ამავე დროს ისინი ოცნებობდენ იმაზედაც, რომ იმათი საზიზღარი პროვოკაცია და ყოვლად უნამუსო, ყოვლად ულირსი ცილისწამება და ჭორი ბალშევიკების წინააღმდეგ გასჭრიდა, შესაფერ ნაყოფს გამოიღებდა და ქართველი ხალხი მენშევიკების აგენტების დაძახებაზე აჯანყებებს მოაწყობდა საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და ბ. ბ. ჟორდანიებს, წერეთლებს და იმათ ძმაბიჭებს გამოუძახებდა ევროპიდან. აი რაზე ოცნებობდენ როგორც გაქცეული, ისე საქართველოში დარჩენილი მენშევიკები. მაგრამ ეს იმედები სავსებით გაუცრუვდათ.

ჯერ ერთი ის, რომ რამდენათაც არ სდომებოდათ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს საქართველოს და საერთოთ მთელი ამიერკავკასიის დაჭერა, ეს შეუძლებელი გახდა, და ქართველ მენშევიკების ბელადების ხვეწნა მუდარა ბრიანის და ლოიდ ჯორჯის წინაშე უშედეგოთ უნდა დარჩენილიყო. მეორე მხრით, მენშევიკებს გაუცრუვდათ ყოველივე იმედი იმაზედაც, რომ შიგნიდან, თვით საქართველოშივე, შესაძლებელი გამხდარიყო საბჭოთა ხელისუფლების აფეთქება. მართალია, ერთგვარ „აჯანყებებს“ მენშევიკების აგენტები ხშირათ აბდენდენ უცხოეთის ბურჟუაზიულ გაზეთების კაბადონებზე, მაგრამ მარტო ეს ხომ არ კმარა იმათ სურვილების განსახორციელებლათ. 3 4 წლის განმავლობაში მენშევიკებმა საკმარისი გაკვეთილი მისცეს ქართველ მშრომელ მასსას, რომ იგი დაუფიქრებლათ არ აყვეს ამ ვაჟბატონების ძახილს. რა მოხდებოდა სინამდვილეში, რომ საქართველოს მუშებს და გლეხებს დაეჯერებიათ მენშევიკებისთვის, ჟორდანია-წერეთლებისთვის. მოეწყოთ აჯანყებები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მოეწოდებიათ დასახმარებლათ ევროპის მძარცველების ჯარები საქართველოს და რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარ წითელ ჯარების წინააღმდეგ? ეს იქნებოდა ქვეყნის ხელახალი აკლება დარბევა და განადგურება, ეს იქნებოდა ხელახალი სისხლის ღვრა, ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი დაპყრობა უცხოელ მძარცველების და დამჩაგვრელების მიერ; ეს იქნებოდა მუშების და გლეხების ძალაუფლების, ე. ი. საბჭოთა ხელის-უფლების მოსპობა და ისევ ძველი მძარცველების, მემამულეების და კაპიტალისტების გაბატონება, ეს იქნებოდა ყველა მიწების ისევ ძველ მემამულეების ხელში გადასვლა, ეს იქნებოდა ყველა იმ უფლებების გაბათილება, რომლებითაც დღეს პროლეტარიატი სარგებლობს საბჭოთა საქართველოში. აშკარაა, ყველა ამას მშრომელი მასსა თავისი ნებით ვერ დასთმობს. ეს უკვე კარგად შეიგნო ამ მასსამ. მაგრამ რაღა დარჩენიათ მენშევიკების გაქცეულ ბელადებს, ამ მართლაც რომ უჯაროთ დარჩენილ ღენერლებს! ერთად-ერთი გამოსავალი მათთვის ისევ **ანტანტაა, ე. ი. ევროპის გამარჯვებული იმპერიალისტური სახელმწიფოები, ლოიდ ჯორჯები, ბრიანები, პუანკარეები** და ძმანი მათნი.

დღეს უკვე ყველა ხედავს, რომ ჟორდანია-წერეთელ-ჩხეიძეებმა საბოლოოთ აიხადეს ყოველივე სოციალისტური ნიღაბი, ეს ვაჟბატონები ლამობენ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ბედ იღბალი ისევ მსოფლიო მძარცველებს და მჩაგვრელებს ჩაუგდონ ხელში. და ამიტომ ცდილობენ შესაფერი გავლენა მოახდინონ ანტანტის სახელმწიფოებზე. როგორათაც მსოფლიო იმპერიალისტები იყენებენ ყოველივე შემთხვევას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, როგორც, მაგ., შიმშილს ან სხვა უბედურებას, ისევე იქცევიან გაბახებულ ქართველ მენშევიკების ბელადები ევროპაში. ისინი უტიფრად და ყოვლად უსინდისოთ თხზავენ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ ყოველგვარ ჭორს, ისინი სწერენ, რომ საქართველოში მოდებულია აჯანყებები, რომ საბჭოთა მთავრობა დაეცა, ან კიდევ: რუსეთის წითელი ჯარი ძალმომრეობას ჩადის და ხალხს უზომოთ აწუხებს და სხვ. და სხვ. ამ კომპანიის და აგიტაციის აზრი აშკარაა: მისცენ საბაბი ანტანტის იმპერიალისტებს ან პირდაპირ ჩაერიონ ჩვენ საქმეებში და აგვიტეხონ ომი, ან კიდევ საბჭოთა რუსეთი აიძულონ, რომ მან ჩვენთან მჭიდრო და ძმური კავშირი შესწყვიტოს. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება აქვს მხედველობაში ბ-ნ ნ. ჟორდანიას „ნოტას“, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველების ყურადღება რამდენიმეთ შევაჩეროთ ამ „ნოტის“ შინაარსზე. ბ-მა ჟორდანიამ და კომპანიამ კარგათ უწყიან, რომ გენუის კონფერენცია, რომელზედაც პირველათ მიწვეული არიან ერთი მხრით გერმანია და მეორე მხრით საბჭოთა ფედერაცია, თუ მან სასურველი შედეგი იქონია, მენშევიკების იმედების და გეგმების საბოლოო დასამარება იქნებოდა, და ამიტომ იგი ცდილობს რომ მენშევიკების დალუპული მთავრობის საკითხი დაყენებულ იქნას გენუის კონფერენციაზე. ბ-ნ ჟორდანიას აზრით საბჭოთა რუსეთსა და ევროპას შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს საკითხთან. ამას, რა თქმა უნდა, არავინ უარს არ ყოფს, მაგრამ მენშევიკების ბელადებისთვის საქართველოს საკითხი—ეს მხოლოდ და მარტოოდენ მენშევიკების მთავრობის საკითხია, ანუ უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, იმათთვის საქართველოს საკითხი უფო მენშევიკების გაქცეული ბელადების უკან დაბრუნების საკითხია. ვინ მისცა უფლება ამ ვაჟბატონებს ქართველი ხალხის, საქართველოს მშრომელ მასსების სახელით ილაპარაკონ! ვინ აირჩია ჟორდანია-წერეთელი-რამიშვილები ქართველი ხალხის რწმუნებულებათ ევროპის სახელმწიფოების კონფერენციებზე? თავის თავათ იგულისხმება, რომ სრულებით არავინ. ეს ვაჟბატონები სრულებით ტყუილად იწუხებენ თავს. სრულიად ამაოთ ირქმევენ ქართველ მუშების და გლეხების წარმომადგენლების სახელს. დეე იცოდენ ამ მატყუარებმა და არამკითხე აპეკუნებმა, რომ საქართველოს მუშებს და გლეხებს ეყოლებათ როგორც გენუის, ისე სხვა კონფერენციებზე, სადაც კი ეს საჭირო და შესაძლებელი იქნება, ნამდვილი თავისი საკუთარი წარმომადგენლები, რომლებიც ბ.ბ. ჟორდანიებზე, წერეთლებზე, ჩხეიძეებზე უფრო კარგათ დაიცავენ იმათ ინტერესებს. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა აწუხებს ამ ვაჟბატონებს. იმათ აინტერესებთ არა მუშების და გლეხების ბედიღბალი, არამედ თავისი საკუთარი ბედი.

ფ. მახარაძე.

(დასასრული იქნება)

## გულმოსული უძლურება

საქართველოს ცხოვრების განვითარებამ ისტორიის სანაგვეზე გადაბერტყა ის ძალები, რომლებიც მესვეურობდნენ ამდენ ხანს მას.

ყოფილი მბრძანებლები ჩვენი ქვეყნის დღეს ტკეპნიან ევროპის რეაქციის სატახტო ქალაქებს და დაძვრებიან იმპერიალისტური კაბინეტების ახლო მახლო დახმარების სათხოვათ. აქ დარჩენილი მათი მომხრეებიც, მიუხედავათ მათი რიგების საგრძნობლათ შეთხელებისა და პოლიტიკური გავლენის დაკარგვისა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დრო გამოშვებით აქა-იქ პატარ-პატარა სკანდალები მოაწყონ და ქვეყანას გააგსენონ თავის არსებობის შესახებ. მთელმა რიგმა კამპანიების როგორც ცენტრებში, ისე პროვინციაში, როგორც საბჭოთა არჩევნების დროს, ისე მშრომელთა სხვა და სხვა ყრილობებზე აშკარა და ყველას დასანახათ გახადა მათი უძლურება. პირველი მათი ცდა რკინის გზებზე გაფიცვის გამოწვევის და იქ არევ-დარევის შესატანათ, როგორც მკითხველი გაიხსენებს, დათავდა სამარცხვინო მარცხით. მათ ვერ შეაცდინეს ვერც ერთ დაწესებულებაში რკინის გზაზე ვერც ერთი ჯგუფი მუშების თავის გეგმების გასატარებლათ. ყველასათვის ცხადი შეიქნა სიგიჟე ამ ცდის სწორეთ მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი, მთელი ქვეყანა დაინტერესებული იყო და არის მეურნეობის ყველა დარგის ამოძრავებაში და მწყობრათ მუშაობაში. მენშევიკების აგენტების ანტიხალხური „მოღვაწეობა“ დასანახი შეიქნა ყველასათვის, ამ დამარცხებამ კიდევ უფრო დაანახვა საზოგადოებას, რა „ჯარი“ მიჰყვება დღეს მენშევიკების აგენტებს ჩვენში, როგორ განცალკევებული რჩებიან ისინი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში.

ამ დღეებშიდაც ყველა ჯურის რეაქციონერებმა —ნაციონალისტებმა მენშევიკურ აგენტებთან ერთათ სცადეს აღენიშნათ თავისი დამარცხების წლის თავი საქართველოში. მაგრამ დარწმუნებულნი თავის უძლურებაში მშრომელთა შორის, ისინი შეეცადნენ ამ ჟამათ მთელი ენერგია თავის ზეგავლენის გადაეტანათ უმთავრესათ მოსწავლე ახალგაზრდობაში, ბავშვებს შორის. თუ დიდების შეცდენა მათთვის შეუძლებელი შეიქნა და ამაში არა ერთხელ დარწმუნდნენ, შეიძლება ასე ძნელი არ გახდებოდა ბავშვების ჩარევა ნაციონალისტურ გამოსვლაში. ეს ხერხი არ ახალია. თავის გამოსვლების დროს მისთვის არა ერთხელ მიუმართავს უჯარო სარდლებს, ცოტაოდენი პოლიტიკური ეფექტის მაინც მოსახდენათ და ხალხის ასალაპარაკებლათ. ხოლო მათი ულონობის გამო ესეც პლიუსი იქნებოდა იმ საქმისთვის, რომელსაც მენშევიკები და ძმანი მათნი ემსახურებიან ჩვენში და.. სხვაგან. თავისი ძალების დღევანდელი მდგომარეობის პირობებში მათ არ შეუძლიათ დაისახონ მიზნათ რაიმე ფართო პოლიტიკური კამპანია თავის საბოლოოთ დაკარგული გავლენის აღსადგენათ და გასაფართოებლათ. თუ ეს შეუძლებელია, მაშ უნდა დაკმაყოფილდე ცოტათი, გააკეთო ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია. „კაცობრიობა ისახავს მუდამ განსახორციელებელ მიზანს“ ჩვენი რეაქციონერებიც ისახავენ ადვილათ მისაღწევ მიზანს. მათ შეუძლიათ კიდევ აქა იქ პატარ-პატარა მიტინგების მოწყობა მოწაფეებისაგან, წინასწარ გამზადებული რეზოლიუციის „ერთხმათ“ მიღებინება (და ეს ადვილიც არის, რადგან ერთეულებს ამ დამსწრეთა რიცხვი მაინც არ სცილდება) და ასე ამ გზით და ასეთი „ჯარის“ დახმარებით შეხანხლული რეზოლიუციების, სადაც ჯერ არს გაგზავნა, ვისიც ჯერ არს შეცდომაში შეყვანა და რაიმე პოლიტიკური ეფექტის მოხდენა. რაი მერე რომ ამ რეზოლიუციების უკან სდგანან ერთეულები, რომ, როგორც მის გამომუშავებაში, ისე გავრცელებაში და მიღებაში, არც ერთი ჭკუა მოწიფებული კაცი მონაწილეობას არ იღებს, რომ მათ შესახებ არაფერი არ იცის არა თუ მასებმა, არამედ მათმა ჯგუფებმა და ერთეულებმაც...

მენშევიკების და მათი ამყოლ დამყოლების ახალი ცდა დათავდა ისევე უძლურ—თ და დამარცხებით, როგორც ეს მათ დასჩემდათ ჩვენში, დათავდა მათი სრული და საბოლოო გაკოტრებით და თუ ეს ასე მოხდა—არა იმიტომ, რომ აქტიორებმა ცდა დააკლეს ამ საქმეს და ენერგია არ გამოიჩინეს მათმა ერთეულებმა, არამედ იმ გულგრილობისა და დავიწყების გამო რომელსაც მისცა ისინი ჩვენი ცხოვრების განვითარებამ. რამოდენიმე ასეთი „გამოსვლა“, როგორიც მათ მოაწყეს ამ დღეებში, და მათი ხსენებაც დარჩება მხოლოთ მათი შეთხელებული რიგების უდავო საკუთრებათ, რომელშიაც არავინ მათ არ შეეცილება.

ნ.

## თეთრგვარდიელთა პრესა

**„ვინ იცის? შეიძლება ბოლშევიზმი არის უკიდურესი საშუალება, რათა ევროპის კულტურა გაახალგაზრდავდეს!“**

ასე სწერს მ. ა. სუვორინის გაზეთი ბელგრადში, „ნოვოე ვრემია“.

მკითხველებს ალბათ ახსოვთ „კეთილი ძველი დროიდან“ მონარქიული რეაქციის ხელმძღვანელი ორგანო ნეტარხსენებული „ნოვოე ვრემია“ სუვორინის, მენშიკოვის, ა. სტოლიპინის და პილენკოსი. დროგამოშვებით, რასაკვირველია, ძალიან ძვირათ, შავი რეაქციის ამ გმირების შავ აზროვნებაში სიმართლის მკრთალი სხივი შეიჭრებოდა და უეცრათ არაჩვეულებრივ ენაზე ალაპარაკებდა მათ და ეს ხდებოდა ხანდახან ისეთი გარკვევით, რომ მათგან მსგავსი რამის შეუჩვეველი საზოგადოება განცვიფრებაში მოდიოდა, ხოლო მიმდევრებს გაკვირვებული თვალები გაშტერებით, როგორც იტყვიან, შუბლს აწვებოდნენ გადმოსაცვენათ. როგორც ეტყობა ძველი რუსეთის „ნოვოე ვრემია“-ს ეს თვისება დამჩნევია დღესაც მის ბელგრადელ ლანდს, რომელიც ყოველ დღე ევლინება (ყოველდღიური გაზეთია) ამ ქალაქს და ერთ წამს კაპიტალისტური ცივილიზაციის საწინააღმდეგო კრიტიკის გუნებაზე დღეყენებია: ალბათ მოსაწყენია ბოლოს და ბოლოს ბოლშევიკების წარამარა გინება.

„ბალშევიზმი რუსეთის მუშებში, აშკარა სიმპატია ბალშევიკებისადმი დასავლეთ ევროპის მუშათა შორის—სწერს პომეშჩიკური რეაქციის ორგანო—წარმოსდგება არა თეორეტიული მარქსიზმისაგან და არც პრაქტიკული სიხარბისაგან პროლეტარიატის მხრით უზრუნველყოფილ ბურჟუაზიული კლასის მიმართ. ამ მოვლენას აქვს უეჭველათ უფრო ძირითადი, უფრო ზოგადი მიზეზი და ეს მიზეზი სძევს ფაბრიკა-ზავოდის შრომის თვისებაში, მას მიჰყავს მთელი ჩვენი ცივილიზაცია თვითუარყოფისა და საყოველთაო კრახისაკენ.

ან როგორ შეიძლებოდა, რომ ეს სხვანაირათ მომხდარიყო? **ხომ სიმართლეა, რომ, როდესაც მსოფლიო ომის შემდეგ საძირკვლამდი დაირღვა ჩვენი ცივილიზაციის შენობა**, ევროპამ გამოაჩინა თავისი შავი ჯურღმული, საიდანაც გამოდიოდნენ მაშინის გამრუდული შვილები. ომზე უფრო საშინელია შეხედულობა ღონემიხდილი, უკმაყოფილებით აღსავსე ხალხის, რომელიც მილურსმულია მანქანაზე, მიკრული სამუშევარზე არა ჯაჭვებით, არამედ კიდევ უფრო შეუბრალებლათ: თავისი საკუთარი გულისყურით. მოწყვეტილმა სრულიად მზეს, ცას, ველ-მინდვრების სურნელოვან სილამაზეს, დამონებულმა მანქანებისაგან, ჩარხების ჯაგლაგისა და რახუნის ხმებში, რკინის რაკუნში, გავარვარებული ფეჩების ცეცხლთან და დამღვალი ლითონის ჯოჯოხეთთან, ყურთა სმენის, თვალთა ხედვის, ნორმალური სუნთქმის დაკარგვის, და საერთო დაუძლურების პროცესში ჩათრეულმა—მან დაჰკარგა მთელი უზენაესი ღირებულება, გადაიქცა მანქანის ტვინათ, შთაბერა მასში თავისი სული, და თავისთვის დაჰკარგა ის. „ვინ იცის ისტორიის გზა? შეიძლება ბოლშევიზმი არის უკიდურესი საშუალება, რათა ევროპის კულტურა გაახალგაზრდავდეს!“

წამოსცდა რა ეს „საბრალმდებლო ოქმი“ კაპიტალისტური ცივილიზაციის წინააღმდეგ, ავტორს უცებ გაახსენდა, რომ ცოტა შორს შესტოპა და თავის ჩვეულებრივ გონზე მოვიდა. ცხადია რა უნდა მოჰყოლოდა ამ გამოფხიზლებას: დაიწყო ისევ გინება ბოლშევიკების, რომლებმაც ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და პომეშჩიკების „საბუდრები“ დაანგრიეს...

* * *

**გ ე ნ უ ა.**

პ. მილიუკოვის გაზეთი პარიზში, „Последние Новости“, (№ 540, 19 იანვ.) ეხება გენუას კონფერენციას და მასზე რუსეთის დასწრების საკითხს:

საბჭოთა გაზეთების თანახმათ, მოსკოვის მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობს წავიდეს გენუას კონფერენციაზე, როგორც დამარცხებული, რომელიც იღებს მისდამი წაყენებულ პირობებს. არა უსაფუძვლოთ, საბჭოთა ხელისუფლება უყურებს კანნის კონფერენციას, როგორც ნიშანს ევროპის სისუსტისას... მოსკოვი დარწმუნებულია, რომ მან გაიმარჯვა ევროპაზე... თუ გინდათ ასეთ აზრში იმალება თავისებური ნაციონალიზმი, რომელიც გაიფურჩქნა რუსეთში. ყველა ვინც მოდის ჩვენი სამშობლოდან, ერთხმათ ადასტურებენ, რომ კომუნისტების პროპაგანდას ოთხი წლის განმავლობაში უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ხალხს ჩანერგილი აქვს უნდობლობა და სიძულვილი გამოუკლებლათ ყველა უცხოელების მიმართ... იმ შეუგნებელ რუსეთის ხალხში, რომელსაც ეუცხოებოდა სამშობლოს გრძნობა, რომელიც შეგეძლო დაგეთანხმებია უაზრო დამმობილებაზე მტრებთან და ფრონტის დატოვებაზე—ამ ხალხში იღვიძებს ეროვნული გრძნობა.. გონებრივი და სულიერი შხამი, რომელთაც ოთხი წლის განმავლობაში სწამლავდნენ კომუნისტები ხალხის თავსა და გულს, არ შეიძლება არ დავარდნილიყო მომზადებულ ნიადაგზე.. ქვაზი-პატრიოტულ პირობებს უყენებს მოსკოვი ევროპასაც გენუას კონფერენციის მოწვევის წინ. საფიქრალი იყო, რომ, ბოლშევიკები, რომლებიც მუდამ სცდილობდნენ ეცნო ისინი ევროპას, რომლებიც ყოველგვარ პირობებზე თანხმდებოდნენ ამისთვის, ოღონ მიეღოთ ნებართვა ერთ მაგიდას შემოსხდებოდენ კულტურულ ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთათ, უნდა წასულიყვნენ გენუაში, როგორც კანოსაში. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ლენინი უფრო მოხერხებულათ თამაშობს ისტორიულ როლს, რომელიც მას ხვდა წილათ. ის, იმის სიამოვნების მოლოდინში, რომ დაესწრება გენუას კონფერენციას, რუსეთის ფართო საზოგადოებას მიმართავს პატრიოტული მონოლოგის დეკლამაციით. ლენინი უყენებს ევროპას პირობებს—და პირველი შეხედვით პირობებს პატრიოტულს“.

„ნაციონალიზმი“, „პატრიოტიზმი“, რომლის „შხამით“ „მოსწამლეს“ ბალშევიკებმა რუსეთის ხალხი, არ მოსწონს თეთრგვარდიელ ნაციონალისტებს და პატრიოტებს. სამართლიანადაც. ისტორიის გრძელ მანძილზე **მშრომელი ხალხი** მხოლოდ დღეს „იპყრობს სამშობლოს“, ხდება ამ ახალი სამშობლოს მოტრფიალეთ, „პატრიოტათ“. ოთხი წლის ბრძოლის ისტორიამ დაარწმუნა ის, რომ სამშობლოს, რომელშიაც ის თანდათან ეუფლება მთელ სიმდიდრეს, დაეუფლა მის მიწას და წყალს, რომ ამ

## დამშეულთა დასახმარებლად

11 თებერვალს შესდგა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის პირველი სხდომა, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, წევრები: ა. სვანიძე, ა. ერქომაიშვილი და გ. სტურუა.

ამხ. მახარაძემ დაასურათა რა დამშეულთა მდგომარეობა და აღნიშნა რა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიზნები, ხაზგასმით აღნიშნა დამშეულთა დასახმარებლად სასწრაფო ზომების მიღების საჭიროება.

ამ მიზნით დადგენილია შემდეგი:

**პირველი**—გამოიცეს მოწოდება მოსახლეობისადმი, აღმოუჩინონ ფართო დახმარება დამშეულ შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის და სხვა მაზრებს.

**მეორე**—მოეწყოს ადგილობრივად რევკომებთან კომისიები, რომელშიაც შევლენ რევკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, სამაზრო სასურსათო კომისარი, კომპარტიის წარმომადგენელი და ორი გლეხი დამშეულ მოსახლეობისაგან.

კომისიას ევალება საჩქაროდ გამოარკვიოს სიმშილობის ხარისხი, ამასთანავე დამშეული მოსახლეობა უნდა გაიყოს ორ კატეგორიად: ა) ულარიბესი მოსახლეობა დახმარებას მიიღებს უსასყიდლოთ ბ) მოსახლეობა, რომელსაც აქვს გადახდის შესაძლებლობა დახმარებას ღებულობს დაკლებულ ფასით, და აქედან აღებული მიდის უკან დამშეულთა ფონდში, სამაზრო რევკომებთან არსებულ სპეციალურ კომისიების ჩვენებით.

**მესამე**—საჩქარო დახმარებისათვის გადადებულია: ა) სასურსათო კომისარიატის მიერ ორი ვაგონი ხორბალი, ბ) ფინანსთა კომისარიატისაგან ერთი მილიარდი მანეთი, აგრეთვე გადაწყვეტილია მიიღონ საგარეო ვაჭრობის განყოფილებისაგან 17,000 სტერლინგი და ამით შეიძინონ პური სპეციალურად დამშეულთათვის, ამას გარდა ის განძეულობანი, რომლებიც არის სახელმწიფოს განკარგულებაში, მაგალითად 300,000 ოქროს მანეთი, უნდა გადაეცეს დამშეულთა სასარგებლოდ.

**მეოთხე**—მიზიდულ იქნეს ამ მუშაობაზე საზოგადოების ფართო წრეები დამშეულთა ფონდის გასაძლიერებლად, ნებაყოფლობითი შეკრების და მუდმივ ან ერთდროულ შემოწირულებათა გზით.

სამშობლოს კბილებ [illegible]ნილი ეხვევიან დასაგლეჯათ, მშრომელთა ბატონობის გასანადგურებლათ. ცხადია ის უმკლავდება სწორეთ „უცხოელებს“ უცხოეთის ბურჟუაზიას, თავის დოვლათისა და ძალა-უფლების დასაცავათ. ცხადია ისიც, რომ რუსეთის მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები წარსდგებიან გენუას კონფერენციაზე ისეთი „შეთანხმების“ პროექტით, რომლის წინასწარი პირობა იქნება ამ „დაპყრობილი სამშობლოს“ ინტეგრიტეტის უზრუნველყოფა და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა.

ოთხი წლის ბრძოლის განმავლობაში არა ერთხელ ყოფილა მომენტი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას ინტერვენციონისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროში ქვეშ შემოუკრებია ყველა ჯანსაღი ძალები ერის და გაუმაგრებია მშრომელთა რეჟიმი. იგივე ხდება დღეს სხვა გარემოებაში და სხვა ფორმით სხვათა შორის ამიტომ არის წინააღმდეგი მილიუკოვის გაზეთი საბჭოთა ხელისუფლების „პატრიოტიზმის“ და იმისი, რასაც ის უწოდებს „ნაციონალიზმს“. მას არ მოსწონს, რომ ბოლშევიკები „ევროპას უპირისპირებენ რუსეთს“, ე. ი. მშრომელთა რუსეთს ბურჟუაზიულ ევროპას. ეს „ნაციონალიზმი“ და „პატრიოტიზმი“ საბჭოთა ხელისუფლების არ მოსწონთ მათ, და, რასაკვირველია, ურჩევნიათ თავისი ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ კლასიურ ბატონობას, პომეშჩიკების და ბურჟუაზიის საკუთრების სრულ აღდგენას.

* *

**მილიუკოვი უკმაყოფილოა საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთებითაც.**

მილიუკოვის იგივე გაზეთი ერთ-ერთ თავის მეთაურში (№ 541, 20 იანვარი) ილაშქრებს ჩვენი ფრანგი ამხანაგების ცენტრალური ორგანოს, „ლიუმანიტეს“ წინააღმდეგ, რომელიც მისი აზრით, არ ლაპარაკობს სიმართლეს რუსეთის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ამ ამბავს კიდევ ადვილად შეურიგდებოდა მილიუკოვი, რადგან „ლიუმანიტე“, სხვათა შორის, იმიტომაც, არის კომუნისტური გაზეთი, რომ სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ყველა და, მათ შორის, რუსეთის თეთრგვარდიელთა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ რუსეთის საქმეებში. მაგრამ

„საუბედუროთ—სწერს გაზეთის მეთაური—საფრანგეთის გაზეთები, მნიშვნელოვანი ნაწილი ამ გაზეთების, ახლა ცოტა ადგილს უთმობენ ფაქტებს რუსეთის ცხოვრებიდან. აბსტრაქტიული რუსეთი არის მხოლოდ თემა ისეთი სჯა ბაასების, რომლებიც შეფარდებულია წერილების ავტორების პოლიტიკური მრწამსისადმი.

გაზეთი „ლენფორმასიონ“-ი აღნიშნავს „ნათელ“, ხელსაყრელ მოვლენებს—კიდევ მეტი—„სასიხარულო“ აზრებს საბჭოთა რუსეთის შესახებ. ამავე გზაზე სდგება გაზ. „ლე პტი პარიზიან“-ი. **არაფერი გასაკვირალი არ იქნება, თუ საფრანგეთის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილიც წაჰბაძავს მათ მაგალითს, რადგან ბევრი მრეწველების თავში მაგრათ მოიდგა ფეხი აზრმა მოსკოვთან ვაჭრობის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ.** ამიტომ—დაუფარავი უკმაყოფილებით აღნიშნავს, მილიუკოვის გაზეთი—შეიძლება ხელი დააფარო სიმართლესაც რუსეთის ამბების შესახებ“.

ჩვენ არ ვიცით რომელი „სიმართლე“ დაუმალეს თავის მკითხველებს ზემოხსენებულმა გაზეთებმა, მაგრამ აღსანიშნავია ეს საყვედური თვით საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესისადმი, რომელიც, განსაკუთრებით თავის გარკვეულ ნაწილში, გახრწნილი და მოსყიდული კაპიტალის მიერ, სახელგანთქმული ამ მხრით მთელ ევროპაში, შეურიგებელ პოზიციაზე იდგა ამდენხანს საბჭოთა რუსეთის მიმართ. მართლაც ძლიერი უნდა იყოს დღეს საფრანგეთის „საქმის ხალხში“ მიდრეკილება რუსეთთან „საქმიანი ურთიერთობის“ აღდგენისაკენ თუ თვით მილიუკოვის გაზეთიც წინასწარმეტყველობს, რომ ეს პრესა, გუსტავ ერვეს სიტყვით რომ ვსთქვათ სხვა სანიშნ მიზანს იღებს თვალში სასროლათ.

მილიუკოვების დაღუპულ საქმეს სცილდება თვით საფრანგეთის პრესაც. სრული საფუძვლიანობით შეუძლია მიმართონ მათ ამ პრესას სიტყვებით: „и ты, Брут?“

## „კონტრ-რევოლუციონერების „გამოსვლა“

კონტრრევოლუციონერებმა ძმა-ბიჭებმა: ქართველმა მენშევიკებმა, მემარჯვენე ფედერალისტებმა და ნაციონალ დემოკრატებმა მოინდომეს შაბათს 11 თებერვალს, მ[illegible]ლი ქვეყნიერობისთვის დაენახვებიათ მთელი თავიანთი უზომო ძალა. იმ დღის წლისთავზე, რა დღესაც ბორჩალოს მაზრის მშრომელნი აჯანყდნენ მენშევიკების მხეცურ რეჟიმის წინააღმდეგ, ეს ვაჟბატონები, შეერთებულნი მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით, შეეცადნენ მთელ საქართველოში ისეთი „გამოსვლის“ მოწყობას, რომელსაც უნდა დაემტკიცებია ყველასთვის, რომ „ცოცხალი ძალები“ არ ითვისებენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ კომუნიზმი სრულიად ეუცხოვება საქართველოს მშრომელ ხალხებს.

როგორც აღმოჩენილ დოკუმენტებიდან სჩანს, კონტრევოლუციონერების გეგმას მიზნათ ჰქონდა ხმაურობა და აურზაური აეტეხა გენუას კონფერენციის წინ, ვინაიდან რაიმე სე- [illegible]

რკინის გზის და ტრამვაის ვაგონების კონდუქტორები მთელი დღე გულს უხეთქავდნენ მენშევიკებს განუწყვეტელი მოძრაობით.

არავინ, თვით ტროტუარების მუდმივმა მტკეპნელებმაც კი, არ მოისურვა გინდ ნახევარ წამით მაინც მონაწილეობა მიეღო „მიტინგში“, არავინ არ მიაქცია ყურადღება მენშევიკურ და სხვების პროკლამაციების მიწვევას.

არც თბილისში, არც პროვინციაში!

მაგრამ მენშევიკებს, ფედერალისტებს და ნაციონალ დემოკრატებს—ამ განთქმულ ბუმბერაზებს—მაინც ჰყოლიათ თურმე მომხრე თბილისში—ზოგიერთი მოწაფე ექვსი ტექნიკუმისა (31-დან!) და 230 სტუდენტი უნივერსიტეტისა (4,000 სტუდენტიდან!) პირველები დედებს იმ დღეს გაეგზავნათ სკოლაში ძველი ისტორიის და ალგებრის დასაწყისის სასწავლათ, მაგრამ იშვიათი მზიანი და თბილი დღე იყო და ამიტომ ეს [illegible]

## გაფიცვები გერმანიაში

**მოსკოვი,** 10 თებერვალი (რადიო). ფრანკფურტში შესდგა 20 ათასიანი კრება, რომელიც მოიწვია დამოუკიდებელ კომუნისტებმა. კრებამ მიიღო ულტიმატიური მოთხოვნა პრეზიდენტ ებერტის მიერ გამოცემულ დადგენილების გაუქმების შესახებ მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწოდებენ გერმანიის ყველა მუშებს საერთო გაფიცვისაკენ.

— მაგდებურგში 1200 გაფიცულ რკინის გზის მუშების წინააღმდეგ მიმართეს ლოკაუტს.

— რკინის გზების მოქმედება ჩრდილოეთ გერმანიაში ჯერ სწარმოებს 7 ათასი დამხმარე მუშების დახმარებით.

— სტინესის ორგანო იტყობინება: მრეწველობის წარმომადგენლებმა განუცხადეს მთავრობას, რომ გერმანიის მრეწველობა, ითვალისწინებს რა გაფიცულებთან ძლევამოსილ გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას, მზადაა გადაიტანოს გაფიცვის ყველა შედეგები, ოღონდ კი მთავრობა იდგეს მტკიცედ.

— ბერლინიდან 8 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: რკინის გზელების გაფიცვა, რომელიც 6 დღე გრძელდებოდა, ოფიციალურად შეწყდა. მთავრობისა და გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირებიდან გაფიცულთა ბელადებს შორის მიღწეულია შეთანხმება მთავარ სადაო პუნქტში დამსჯელი ზომების გამოყენების შესახებ; დამსჯელ ზომებისადმი მიმართვის უფლება ეძლევა მთელ კაბინეტს. ზომებს მიმართავენ მხოლოდ გაფიცვის ბელადების და მთავარ მონაწილეების მიმართ მასიური სახით დისციპლინარულ დასჯაზე მთავრობა უარს აცხადებს: ჯერ კიდევ ძნელია იმის თქმა დაემორჩილებიან თუ არა რკინის გზელები ბრძანებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

— ბერლინის ორთქლმავალთა სახელოსნოებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა.

ბერლინის ქალაქის მუშების გაფიცვა აგრეთვე, როგორც რკინის გზელების გრძელდება, გაფიცვის ხელმძღვანელებს უნდათ გაფიცვის შეწყვეტა, მაგრამ მოსამსახურეების კრებები მოითხოვენ ბრძოლის გაგრძელებას. საკითხი გადაიჭრა საერთო კენჭის ყრით, სადაც დიდი უმრავლესობა გაფიცვის გაგრძელების მომხრეა

— ბერლინის მაგისტრატმა დაადგინა დაითხოვოს ტრამვაის ყველა გაფიცული მოსამსახურეები და მუშები და გახსნას ახალი მიღება.

— ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების საბჭოების კრებამ არ მიიღო საერთო გაფიცვის დაუყონებლივი გამოცხადება და მიანდო პროფესიონალურ ორგანიზაციებს დროს საჭიროების გამოაცხადოს საერთო გაფიცვა.

— მეუმრავლესეთა სოციალისტების მიერ მოწყობილ ფაბრიკა-ქარხნების საბჭოების კონფერენციამ საერთო გაფიცვის გამოცხადება უარყო.

— ჰანოვერიდან 8 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: კომუნისტური და ნაციონალისტური პრესა გაფიცვის ლიკვიდაციის გამო აღნიშნავენ იმედების გაცრუებას. იმედის გაცრუება მარჯვნივ და მარცხნივ გამოწვეულია იმით, რომ გაფიცვამ არ მიიღო პოლიტიკური ხასიათი და არ გამოიწვია მთავრობის დაცემა. ნაციონალისტების სიმპატია აიხსნება იმით, რომ რკინის გზელების აღმასკომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სახალხო ნაციონალისტურ პარტიის წევრები.

### აღელვება მუშებში.

მოსკოვი 13 თებერვალი (რადიო). მუშების მასიურ დათხოვნის და აგრეთვე მთავრობის განცხადების გამო გაფიცულთა წინააღმდეგ დამსჯელი ზომების მიღების შესახებ, ბერლინის მუშებში ძლიერი აღელვებაა. ქალაქის რკინის გზის მუშებში ეწყობა მრავალ რიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციები და მათში არსებობს სერიოზული აღელვება. ბერლინში ერთმანეთს დაეჯახა ორი სურსათით დატვირთული მატარებელი. 1200 მუშა თავს დაესხა სადგურ ლიტენბერგს, მოკლე ბრძოლის შემდეგ პოლიციამ შესძლო სადგურის გაწმენდა. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა გაფიცულებიდან 50,000 კაცის დათხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა დასრულდა ოთხშაბათს, მოძრაობა, ძლიერი ყინვისა და ორთქმავლების გაფუჭების გამო, ნაწილობრივად განახლდა.

### რეპრესიები.

მოსკოვი, 13 თებერვალი (რადიო). გზათა მიმოსვლის მინისტრმა ბერლინში გამოსცა განკარგულება ყველა მოსამსახურეების დისციპლინალური წესით დასჯის შესახებ, რომლებიც აშკარად გამოდიან პრეზიდენტ ებერტის განკარგულების წინააღმდეგ. გარდა იმ ადგილებისა, სადაც დაატუსაღეს გაფიცულების ბელადები, მუშაობა რკინის გზებზე ნელ-ნელა იწყება.

### „პრავდა“ გაფიცვის შესახებ.

მოსკოვი,13 თებერვალი (რადიო).12 თებერვლის მოწინავე წერილში, გაზ. „პრავდა“ უქეთებს ჯამს გერმანიაში დასრულებულ რკინის გზელთა გაფიცვას. როგორც ბრძოლის მსვლელობამ დაამტკიცა ამ გაფიცვამ გამოაშკარავა გამცემლობა პროფმოძრაობის ბელადებისა—შეიდემანელების და დამოუკიდებლებისა. იმ დროს, როდესაც მთელი მუშების მასები, გარდა ზედაფენებისა, რომლებიც შესდგომოდენ თბილ ადგილებიან მოსამსახურეებისაგან, გაშლილი ფრონტით ერთსულოვნად გამოდიოდენ გერმანიის ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ, ეგრედ წოდებული გერმანიის მუშების ბელადები—შეიდემანელები და დამოუკიდებლები და პროფმოძრაობის ბელადები აღმოჩდენ პროლეტარიატის კლასიურ მტრების ბანაკში. ეს, „პრავდის“ აზრით, კიდევ ერთხელ დაანახვებს მუშებს გაერთიანებულ ფრონტის მნიშვნელობას. ბევრ რუს მუშას ვერ გაეგო პირველად თუ რას ნიშნავს კომუნისტების პროლეტარულ ბრძოლის გაერთიანებული ფრონტი სხვა პოლიტიკურ პარტიების მუშებთან. ზოგიერთი მათგანი ფიქრობდა, რომ მთლიანი ფრონტი ნიშნავს კომუნისტების მხრივ პოლიტიკურ დათმობას ბურჟუაზიის ლაქიებისა და სოციალ გამცემლების სასარგებლოდ. გერმანიის მაგალითი ნათელს ყოფს თუ რაში მდგომარეობს ამ ტაქტიკის ბუნება. ის მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტები ერთდებიან კლასიურ ბრძოლაში ყველა პოლიტიკურ პარტიების მუშა მასების ქვედა ფენებთან კაპიტალის და მათი ბელადების გამცემლურ პოლიტიკის წინააღმდეგ. 6 დღის ბრძოლის განმავლობაში ყველა, ეგრედ წოდებულმა, სოციალისტურმა პარტიებმა უღალატეს პროლეტარიატს და დადგენ ბურჟუაზიის მთავრობის მხარეზე. მხოლოდ მარტო კომუნისტები დარჩენ მუშების მხარეზე. ამ ექვსი დღის აღსანიშნავი დღის შემდეგ ბატონ შეიდემანელებს დააკლდებათ ბევრი მუშა თავის რიგებში და წინააღმდეგ, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ კომუნისტური პარტია შეიკრება მებრძოლი მუშებით. მაგრამ დასრულებული გაფიცვა კიდევ არ ნიშნავს პროლეტარიატის ბრძოლის გათავებას. წინააღმდეგ, თუ არ იქნა დაკმაყოფილებული რკინისგზელების ეკონომიური მოთხოვნილებები, ეს გამოიწვევს პროლეტარიატის სხვა ფენების მოთხოვნილებებს და დაიწყება ახალი ეკონომიური ბრძოლა. თუ გერმანიის მუშების დამარცხება ამ დღეებში გადიქცევა მთავრობის დროებით გამარჯვებათ, ეს გამარჯვება იქნება გერმანიის მთელი ბურჟუაზიული რეჟიმის მხოლოდ დამარცხების პროლოგი. ბურჟუაზიულ დიქტატურის პირობებში გერმანიის ბურჟუაზიას არ აქვს გამოსავალი.

# მოწოდება

### საქართველოს მუშებისა და მშრომელებისადმი

გაიგო რა საქართველოს საზღვრებიდან მშრომელთა მიერ გაძევებულ, გამყიდველ მენშევიკების: ჟორდანია-რამიშვილის და კამპანიის პროვოკაციულ გამოსვლების შესახებ, იმ კომპანიის, რომელიც ცდილობს გენუას კონფერენციის წინ ჩაშალოს საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის საქმე, საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა მის მიერ საქართველოს მთელი გაერთიანებულ პროლეტარიატის სახელით გამოსთქვამს თავის სასტიკ პროტესტს და ზიზღს ამ მატყუარებისა და გამცემლების წინააღმდეგ.

დეე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყოველმა მუშამ და მშრომელმა იცოდეს, რომ მხოლოდ საბჭოთა საქართველოს და მის სათავეში მდგომ მშრომელ მასსების ჭეშმარიტ ხელმძღვანელებს შეუძლიათ ლაპარაკი ქართველი პროლეტარიატის და მთელი ქართული მშრომელი ხალხის სახელით. თავის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკის საზღვრების იქით ყრილობა მოუცილებელი სირცხვილის დაღს ასვამს ქართველ ხალხის მიერ განდევნილ მენშევიკ-მოღალატეებს.

ამასთან ერთად ყრილობა უგზავნის მხურვალე სალამს სრულიად საქართველოს მშრომელთა საბჭოების ყრილობას, რომელიც გაიხსნება უახლოეს დღეებში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში.

**საქართველოს პროფკავშირების მეორე ყრილობა.**

## გენუას კონფერენციისათვის

### საფრანგეთის პოზიცია.

**პარიზი.** 10 თებ. რადიო. პუანკარე დეპუტატთა პალატაში გამოვიდა საბოლოვო განმარტებით გენუის კონფერენციის მიზნების და ამოცანების საკითხის შესახებ. თავის განმარტებაში პუანკარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გერმანია და რუსეთი მოწვეული არიან გენუას კონფერენციაზე თანასწორად ნაფუძველზე სხვა დანარჩენ ეროვნებებთან ერთად. არ შეიძლება ლაპარაკიც კი იმის შესახებ, დასთანხმდებიან თუ არა მიწვევაზე თუ უარყოფენ მას გერმანია და რუსეთი, ვინაიდგან მომავალ კონფერენციაში ეროვნებათა მონაწილეობის მიღება არ არის სავალდებულო, ამის გამო ისინი თავისუფალი არიან გადასწყვიტონ, მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაში თუ არა. რაც შეეხება საფრანგეთს, იგი სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში, მაგრამ კონფერენციაში მონაწილე ყოველივე სახელმწიფოს ვალად სთვლის მისცეს საჭირო გარანტიები ხელშეკრულებათა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების შესახებ. პალატამ მოიწონა პუანკარეს განმარტებანი.

**ბორდო,** 10 თებერვალი, (რადიო). „ტანს“ მოყავს რადეკის განცხადება, რომელიც მან გადასცა „მატენის“ კორესპონდენტს გენუის კონფერენციის შესახებ და სწერს: საფრანგეთის მთავრობამ არა ერთხელ განაცხადა, რომ იგი არ ეწინააღმდეგება საფრანგეთის მწარმოებელთა მიერ საბჭოთა რუსეთში გადადგმულ ეკონომიურ ნაბიჯებსა და ოპერაციებს. მთავრობას არ აუკრძალავს არავითარი მოლაპარაკება და კერძო შეთანხმებანი ფრანგებსა და რუსებს შორის. მაგრამ ოფიციალურად საფრანგეთის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია დაამყაროს ეკონომიური ან სხვა დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან გენუას კონფერენციის მოწვევამდი, ვინაიდან ეს აუცილებლად გამოააშკარავებდა საფრანგეთის პოლიტიკის მიმართულებას. საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა თავის თანხმობა გენუას კონფერენციაში მონაწილეობაზე, ამიტომ გენუაში გაიმართება გულახდილი და სწორი მოლაპარაკება კანში გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების პირობათა საკითხების შესახებ, რადგანაც ფრანგების ინტერესები, სწერს „ტანი“ უფრო მეტად ვინემ სხვა დანარჩენ ეროვნებათა, ხვდება რუსების ინტერესებს, ამის გამო ჩვენ გვსურს გულახდილად განვიხილოთ რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი და დავაყენოთ საქმე ისეთ ნიადაგზე, რომელზედაც მხოლოდ შესაძლებელი იქნება სერიოზულ საქმის წარმოება: უფლებათა და რეალურ ინტერესების ნიადაგზე

### კონფერენციის გადადების ხმების ირგვლივ

**რომი,** 10 თებერვალი, (რადიო). ლონდონში მიღებულია საფრანგეთის მთავრობის ნოტა, რომლითაც წინადებას იძლევა გენუას კონფერენციის 3 თვით გადადების შესახებ, კონფერენციისათვის წინასწარ მუშაობის საწარმოებლად. ლონდონის პრესას საჭიროდ მიაჩნია მომზადება მომავალ გენუას კონფერენციისათვის, მაგრამ წინადადებას იძლევა ეთხოვოს იტალიას მიიღოს ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ყველა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს მარტის დასაწყისისა, ისე რომ კონფერენცია მაინც მოწვეულ იქნას არა უგვიანეს 8 მარტისა. ინგლისის გაზეთები ამასთანავე იმედს გამოსთქვამენ, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი შეკრული იქნება კონფერენციის გახსნამდე.

### ამერიკა და გენუა.

**რომი,** 10 თებ. (რადიო). რეიტერის საიგენტოს ცნობით, ამერიკის ოფიციალურმა წრეებმა შესცვალეს თავიანთი თვალსაზრისი და მომხრენი არიან მიიღონ მონაწილეობა გენუას კონფერენციაში.

### კავშირი რუსეთის დელეგაციასთან.

**ვენა,** 8 თებ. რადიო. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს დაავალოს გენუას კონფერენციაზე გასაგზავნ თავის დელეგაციას იქონიოს კონტაქტი რუსეთის დელეგაციასთან სამხრეთ-სლავიის ქვეშევრდომთა სამშობლოში დაბრუნების საკითხში.

### რას მოითხოვს საფრანგეთი.

**მოსკოვი,** 12 თებ. რადიო. საფრანგეთის მთავრობის ნოტაში, რომელიც მან გაუგზავნა ინგლისს, საფრანგეთი მოითხოვს, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ როგორც კი მივა იგი გენუაში მაშინვე განაცხადოს საზეიმო ფორმით თანხმობა კანის კონფერენციის დადგენილებათა მიღების შესახებ, სანამ მონაწილეობას მიიღებდეს კონფერენციის მუშაობაში.

საფრანგეთის პრესის ცნობით მილიერანსა, პუანკარეს, ბურჟუასა და ვივიანის შორის ხშირად წარმოებს ხოლმე თათბირი გენუას კონფერენციის საკითხის შესახებ. ეს თათბირი როგორც „ეხო-დეპარი“ გადმოგვცემს შეეხება გარანტიის საკითხს, რომელიც უნდა მოსთხოვონ რუსეთის დელეგაციას. მომავალში შესაძლებელია კიდევ ბევრი მოულოდნელობანი, დასძენს გაზეთი, რომელთაც შეუძლიათ მისცენ საბაბი არამც თუ მარტო გენუას კონფერენციის გადადებისა, არამედ მასზე სრულიად უარის თქმისა.

**ნაუენ.** 11 თებერვ. (რადიო). საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურად ცხადებს, რომ იგი უარს ამბობს გაგზავნოს თავის დელეგაცია გენუის კონფერენციაზე, სანამ იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ გენუის კონფერენციაში და განსაკუთრებით კი საბჭოთა რუსეთი ფორმალურად არ განაცხადებენ თანხმობას კანის კონფერენციის დადგენილებათა მიღების შესახებ. ამას გარდა საფრანგეთი მოითხოვს მოხდეს მოკავშირეთა შორის წინასწარი შეთანხმება კონფერენციის პროგრამის შესახებ. საფრანგეთის მთავრობის აზრით საქმის სარგებლიანობისათვის საჭიროა, რომ კანის დადგენილება იყოს სისწორით და კონკრეტიულად ჩამოყალიბებული და რომ მოკავშირენი ერთნაირად განმარტავდენ შეთანხმების ყველა მუხლებს. წინასწარ მოლაპარაკებისათვის საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს 3 თვეს, რისთვისაც გადადებული უნდა იქნეს კონფერენცია.

**ბორდო.** 12 თებერვალი. (რადიო), საფრანგეთის მემორანდუმში გენუის კონფერენციის შესახებ აღნიშნულია კანის კონფერენციის დადგენილებათა ერთნაირად განმარტების საჭიროება. ამასთანავე ხელახლავ ხაზგასმით აღნიშნავს რომ საზავო ხელშეკრულებანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნენ განხილული კონფერენციაზე, ვინაიდგან ხელშეკრულებათა განხილვას შეუძლია გამოიწვიოს ევროპის არა აღდგენა, არამედ შემდეგი მისი დაშლა, მით უმეტეს რომ კონფერენციას არც ფაქტიურად და არც იურიდიულად არ შეუძლია გასწიოს ხალხთა ლიგის მაგიერობა. გენუის კონფერენციამ უნდა გააერთიანოს ბევრი ეროვნებები, რომელთაც წინად არ მიუღიათ მონაწილეობა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერაში. საფრანგეთის მთავრობის აზრით, გენუის კონფერენციაზე უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევის უფლების საკითხი და უწინარეს ყოვლისა შესაძლებელ რესტავრაციის საკითხი ჰოჰენცოლერებისა გერმანიაში და ჰაბსბურგებისა ჰუნგრეთში. ყველა სახელმწიფოებმა კონკრეტიული პირობა უნდა დასდონ რომ ისინი უსათუოდ უარს იტყვიან ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმის დასამხობათ პროპაგანდაზე. ეს საკითხი უნდა დაისვას მთელი თავის სიმკაცრით. გენუის კონფერენცია უნდა მივიდეს როგორმე შეთანხმებამდე, ვინაიდან კონფერენციის პირვანდელი მიზანი იყო ევროპაში მტკიცე ზავის დამყარება.

**ბორდო.** 12 თებ. რადიო. საფრანგეთის გაზეთები გარკვეულ კმაყოფილებას გამოსთქვამენ საფრანგეთის მიერ გენუის კონფერენციის მიმართ სწორ პოზიციის ჩამოყალიბების გამო, „ეხო დე პარი“ აღნიშნავს, რომ პუანკარემ მხარი უნდა დაუჭიროს სრულიად ევროპის კონფერენციაზე თავის წარმომადგენლობის იდეას, მაგრამ ამავე დროს უნდა მიიღოს ყოველივე ზომები ეროვნებათა უფლებების უზრუნველსაყოფად, თანახმად დამტკიცებული საზავო ხელშეკრულებათა „ექს ნაციონალი“ ამბობს: საფრანგეთს და ინგლისს დაუდგა დრო საქმით დაგვანახონ თავიანთი პოლიტიკური პრობლემა და ის, თუ როგორ ესმით მათ თავისუფლების იდეა. „გოლუა“ აღნიშნავს; პუანკარე არ აცხადებს პროტესტს ლოიდ ჯორჯის პროექტის წინააღმდეგ გენუაში ევროპის აღდგენის საკითხში შეთანხმების შესახებ, მაგრამ პუანკარე იმ თვალთსაზრისისაა, რომ კანის კონფერენციის დადგენილება არ არის საკმარისათ გარკვეული და მოითხოვს დამატებას.

### ამერიკის პოზიცია.

**ნაუენი.** 11 თებერვალი, (რადიო). ვაშინგტონიდან ოფიციალურათ იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობის აზრით, გერმანიის და რუსეთის პრობლემები განუშორებელნი არიან ერთი ერთმანეთისგან და უნდა შეიქნენ გენუას კონფერენციის განხილვის უმთავრეს საგნათ. ეს საკითხი იმდენათვე მნიშვნელოვანია ევროპის აღდგენისთვის, როგორც ფინანსიურ წონასწორობის დამყარება და კურსის სტაბილიზაცია.

**ბორდო.** 11 თებერვალი, (რადიო). ამერიკის მთავრობას, ეტყობა, არა აქვს განზრახვა ოფიციალურათ მონაწილეობა მიიღოს გენუას კონფერენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ააში, მაგრამ ამერიკის მთავრობის წრეებს მაინც გულწრფელათ ინტერესებით კონფერენცია. ამერიკის მთავრობას საზოგადოთ მოსწონს საფრანგეთის პოზიცია და შეხედულება რუსეთის მონაწილეობის შესახებ გენუას კონფერენციაში.

**პარიზი.** 11 თებერვალი, (რადიო) „ნიუ-იორკ ჰერალდის“ ცნობით, ამერიკის მთავრობა განაცხადებს, რომ იგი არ თავის წარმომადგენელს გაგზავნის გენუას კონფერენციაზე „დამკვირვებელთა“ როლით.

### კონფერენციის გადადებისთვის

**მოსკოვი,** 13 თებერვალი (რადიო). ლონდონიდან 9 თებერვლის რიცხვით დამატებით იუწყებიან, რომ საფრანგეთის ნოტა მოითხოვს აგრეთვე რუსეთში კაპიტულაციის რეჟიმის შემოღებას. იტყობინებიან, რომ კონფერენციის გადადებას მოითხოვს არა მარტო საფრანგეთი, არამედ რუსეთის მოსაზღვრე განაპირა ქვეყნებიც. ლონდონიდან 9 თებერვლის რიცხვით იუწყებიან: იტალიის მთავრობას დღემდე შეუძლებლათ მიაჩნია კონფერენციის გადადება. გენუას კონფერენციაზე მიწვევა მიიღეს 5 სახელმწიფომ, რომლებიც უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში შედიან, ეგრე ალბანიამ, ავსტრიამ, ბოლგარიამ, ჩეხო-სლოვაკიამ, ესტონიამ, ფინეთმა, გერმანიამ, პოლონეთმა, ლიტვამ, ჰოლანდიამ, პორტუგალიამ, რუსეთმა, რუმინიამ, ესპანიამ და შვეციამ. ინგლისურ ცნობებით, იმედი არაა, რომ შეერთებულმა შტატებმა სრული მონაწილეობა მიიღონ გენუას კონფერენციაში. რადგან ამერიკელ ფინანსისტთა წრეები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან კონფერენციაში მონაწილეობისა.

### პუანკარეს ტაქტიკა

**მოსკოვი,** 13 თებერვალი (რადიო). სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში პუანკარემ განაცხადა, რომ იგი არ წავა გენუაში, სანამ კონფერენციის პროგრამა საბოლოოთ არ განისაზღვრება და მისი პირობები არ ჩამოყალიბდება. პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა დამყარებულია სარეპარაციო კომისიის ფლების და ერთალიგის ავტორიტეტის სრულ დაცვაზე

ჰავასის ცნობით, პუანკარემ ნოტით მიმართა მოკავშირეთა მთავრობებს, რომლებსაც წინადადება მისცა წინასწარ შეთანხმდნენ კონფერენციის დღის წესრიგის შესახებ. თუ ევროპის ზავის აღდგენას უფრო მკვიდრ ნიადაგზე აპირობენ, ამბობს პუანკარეს ნოტა,—ეს იმას როდი ნიშნავს უკვე არსებული ხელშეკრულებანი და აგრეთვე გადაწყვეტილებანი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ზემო სილეზიისა, უნდა გადასინჯულ იქმნენ. ნოტა თავდება შენიშვნით, რათ თუ ამნაირათ გარანტია არ იქნება, საფრანგეთის მთავრობა იძულებული იქნება მოქმედების თავისუფლება დაიტოვოს თავისთვის.

### წინასწარი თათბირი.

**მოსკოვი.** 13 თებერვალი (რადიო) ლონდონიდან მიღებულ ცნობით, საფრანგეთის პოლიტიკაში გენუას კონფერენციისა და რუსეთის საკითხის მიმართ ჩანს ორი მიმდინარეობა. პირველი მათგანი გამოხატულია უკანასკნელ, ლონდონში გადაცემულ პუანკარეს მემორანდუმში, რომელშიაც მოკავშირეები მიწვეულ არიან წინასწარ თათბირზე გენუას კონფერენციის საკითხის შესახებ.

### მცირე ანტანტა.

**მოსკოვი.** 13 თებერვალი, (რადიო). ლონდონიდან მიღებულ ცნობით, მცირე ანტანტის სახელმწიფოები ცუდი თვალით უცქერიან გენუას კონფერენციას. ბელგრადში განზრახულია მცირე ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი საზოგადო პოზიციის დასამყარებლათ საბჭოთა რუსეთის მიმართ.

## ვაშინგტონის კონფერენცია

**მოსკოვი.** 13 თებერვალი, (რადიო). პარიზიდან მიღებულ ცნობით, 6 თებერვალს დილით მოხდა საბოლოო სხდომა ვაშინგტონის კონფერენციის. კონფერენციამ ერთხმათ მოიწონა 9 სახელმწიფოს შეთანხმება, რომელიც აწესრიგებს ხსენებულ ხასიათის საკითხებს. მერე სახელმწიფო მდივანმა თუზმა გამოაქვეყნა ჩინეთის მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც ჩინეთი აცხადებს, რომ ამიერიდან იგი არც ერთ სახელმწიფოს არარ დაუთმობს ჩინეთის ზღვის სანაპირო რომელსამე ნაწილს. იაპონიისა, ჩინეთისა და ამერიკის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ იაპონიის მოთხოვნების შესახებ, კრებამ ერთხმათ დაადგინა ეს დეკლარაციები ოქმში შეიტანოს. ერთხმათ მიიღეს აგრეთვე სენატორ ლოჯის მიერ გამოქვეყნებული ოთხთა წყნარ ოკეანეზე შეთანხმების დამატებითი მუხლი. ეს მუხლი ადგენს, რომ ტერმინი—„იაპონიის სამფლობელო—კუნძულებზე“—უნდა გვესმოდეს ასე, როგორც სამფლობელო სახელის სამხრეთ ნაწილიდან ფორმოზამდე და ის კუნძულები, რომლებიც იაპონიის სამანდატო მმართველობაში იმყოფებიან. შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა იაპონიის კოჯისის სახელით დეკლარაცია შორე-აღმოსავლეთის საქმეებზე. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ იაპონიის მიერ ციმბირის ოკუპაციის ერთათ ერთ მიზანს შეადგენს იქ მცხოვრებ იაპონელების სიცოცხლის და ქონებრივ ინტერესების დაცვა და რომ იაპონია იქიდან თავის ჯარებს პირველ შესაძლებლობისათანავე გამოიყვანს.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### ინგლისი და გერმანია.

**ნაუენი,** 11 თებ. (რადიო). ლიბერალების მეთაურმა თემთა პალატაში ლიბერალურ ჯგუფის სახელით შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ინგლისმა ფორმალურათ უარი თქვას თავის წილ გერმანიის კონტრიბუციაზე. ლოიდ ჯორჯმა ამ წინადადების პასუხათ სთქვა, რომ საკონტრიბუციო პრობლემა ეხება ყველა მოკავშირეების ინტერესებს, ინგლისის სეპარატიული პოლიტიკა ამ საკითხში იქნებოდა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა და საზარალო ბელგიის და საფრანგეთისათვის. ასეთი პოლიტიკა სულაც ვერ გადასწყვეტს საკითხს უმუშევრობის შესახებ. ინგლისში უმუშევრობის მიზეზს, ლოიდ ჯორჯის აზრით, შეადგენს ყველა ფაბრიკატების გაძვირება ევროპაში და სიდუხჭირე უნარის შემცირება, მსოფლიო მეურნეობის და გაცვლა-გამოცვლის ჩაფუშვა და აგრეთვე უკიდურესი უწესობა ინგლისის საზღვრო უწყებაში.

### იტალია

**იტალიის მთავრობის კრიზისი.**

**ბერლინი,** 11 თებ. (რადიო). იტალიის მეფე დაეთანხმა ჯიოლიტის საბჭოების და უარი თქვა ბონომის გადადგომის მიღებაზე; ბონომის წინადადება მიეცა, რომ მან პარლამენტში ნდობის გამოიკვლიოს მოითხოვოს. რომის გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ დეპუტატთა პალატა დიდის ხმის უმეტესობით გამოუცხადებს ნდობას ბონომის, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერს ჯოლიტი.

**რომი,** 11 თებ. (რადიო). მავრობერობა პარლამენტში უმჯობესდება, დემოკრატიული და სახალხო პარტიები შეთანხმდნენ.

**რომი,** 11 თებ. (რადიო). „ოფიციალურ გაზეთში“ გამოქვეყნებულია დეკრეტები რუსეთის დამზარებისა და ტრიანონის და კოლის ხელშეკრულობის ძალაში შესვლის შესახებ.

### ინდოეთი

**მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი,** 13 თებერ (რადიო). ლონდონში სამში ცნობები მიიღეს ინდოეთის მოძრაობის შესახებ. თავადობამ მტკიცეთ გადასწყვიტა დათრგუნოს მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს განდი. მთავრობის სასტიკი პოლიტიკა ინდოეთში იქვემდებარება გამოის მხსვლე მრეწველობის ინტერესებს. ცნობები მიიღეს ბელგიაში აჯანყების შესახებ. განდის მომხრეებმა დაიწყეს სამოქალაქო ურჩობის კამპანია.

კალკუტიდან მიღებულ ცნობით, კონფლიქტი ბრიტანეთის ხელისუფლებასა და განდის მომხრეებს შორის იღებს უფრო და უფრო გამწვავებულ ხასიათს. ბენგალის-ეროვნულმა კრებამ 55 ხმით 35 ხმის წინააღმდეგ დაადგინა გააუქმოს ყველა საგანგებო კანონები და ამ დადგენილების თანახმათ განთავისუფლოს ყველა, ვისაც ამ გაუქმებულ კანონების ძალით აქვთ მისჯილი სასჯელი.

## საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

**მოსკოვი,** 12 თებერვალი (რადიო). მთავრობის პრესის ორგანო, როგორც ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, ბრალსა სდებს ფინეთსა და რუსეთს შორის ომის სასარგებლოდ აგიტაციაში. როგორც აქტივისტების ისე კომუნისტების და აღნიშნავს ოფიციალურ დაპლომატიასთან ერთად სარდლო ჯგუფების არსებობას, რომლებიც აწარმოებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას. ასეთ არა ოფიციალურ მოქმედებას წარმოადგენს კორელის [illegible]

### რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება წითელ ლაშქრისა და ფლოტისადმი.

საბჭოთა კორელია წითლების მიერ გაწმენდილია თეთრ ბრბოებისაგან, რომელიც მოწყობილი იყო ფინეთის აფეცრობის მიერ ფინეთის და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის ხარჯზე ჩრდილოეთის უძნელეს პირობებში, უდაბნოს ცივ მიდამოებში, ხშირად წელამდე თოვლში რევოლიუციის ჯარის კაცებმა [illegible] თავიანთი მოვალეობა ბოლომდის. ფინეთის მმართველ კლასების და მათ მფარველების მიერ ჩადენილმა დანაშაულმა იძულებულყო რუსეთის მშრომელი მასები გაეღოთ ახალი მსხვერპლი და შეიტანა წითელი ლაშქრის ისტორიაში გმირობის ახალი ამბები. წითელი ლაშქარი და ფლოტი ამაყობს თავის კორელიის რაზმებით და უცხადებს მათ ძმურ მადლობას. სამხედრო რევოლიუციონური საბჭო ყოველ ზომას იხმარს აღნიშნოს და დააჯილდოვოს გამოჩენილ პირთა გმირობა და წითელ ლაშქრის ხსოვნაში დაუვიწყარად დასტოვებს ამ მკაცრი ლაშქრობის ისტორიას. რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი ხელახლად აღდგენილია სისხლით. წითელ ლაშქარს და ფლოტს იმედი აქვს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა შესძლებს უზრუნველყოს ფინეთის საზღვარი ახალ მხეცურ და გამცემელ განზრახვებისაგან. გაუმარჯოს საბჭოთა კორელიას, დიდება წითელ მხედრებს, რომლებმაც გაანთავისუფლეს კორელიის მშრომელი ხალხი.

რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე ტროცკი.

რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარი სარდალი კამენევი.

რესპუბლიკის პოლიტიკურ სამართველოს უფროსი სერებრიაკოვი.

### პარტიზანთა მოქმედება

**ჰელსინგფორსი.** 8 თებერვალი. (რადიო). ჩრდილო ფინეთში წითელ პარტიზანთა რაზმები, რომელიც შესდგებოდნენ ასი კაცისაგან და ორი ტყვიის მფრქვეველით, გარს შემოერტყენ რამოდენიმე სოფელს, ჩამოართვეს იარაღი კერძო პირებს და გაემართენ კორელიის საზღვრისაკენ. ბურჟუაზიული პრესა აზვიადებს ჩრდილო ფინეთის ამბებს. მუშათა პრესას ცნობები აჯანყების შესახებ ძლიერ ბუნდოვანად მიაჩნია და ფიქრობს, რომ სასოწარკვეთილებამდი მისულმა უმუშევრებმა, გადასწყვიტეს აჯანყებულიყვნენ. ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს აჯანყება, რომ ჩამოაშოროს ყურადღება კორელიის ავანტიურისაგან და იშოვოს საბაბი მუშათა კლასის წინააღმდეგ შევიწროების გასაძლიერებლად. და საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის.

### საუბარი ამხ. სიდიაკინთან

**პეტროგრადი.** 10 თებერვალი (რადიო). კორელიის ჯარის სარდალმა ამხ. სიდიაკინმა რუსეთის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა: „ბანდიტები საბოლოოდ დამსხვრეულია, განადგურებული არიან, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. მხოლოდ პატარა ჯგუფი ფინეთის ავანტიურისტებისა შეუპოვრად განაგრძობს წინააღმდეგობას, რომ ამით შესძლონ წასვლა და არ იქნენ გარს შემორტყმული. უტინისკაიას და ოზერსკაიას აღმოსავლეთით გვხვდებიან მხოლოდ თვითეული ბანდიტები, რომლებსაც ეშინიათ დაბრუნდენ თავიანთ სოფლებში. სარდლის მიერ მიღებულია საჭირო ზომები მათ შესაგროვებლად; იმ შემთხვევაში თუ ისინი იარაღით პატიონათ დანებდებიან, მათ ეპატიებათ ყველაფერი. ჩვენი ნაწილების სულიერი განწყობილება კარგია. ჯარის კაცები კარგად არიან ჩაცმული, სურსათით დაკმაყოფილებლად ღებულობენ, შეიარაღებული არიან საუცხოვოდ. ადგილობრივ მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით კი კემის მაზრაში ძლიერ მძიმეა. ბრბოებმა წაართვეს, შეშჭამეს და გაცარცვეს მთელი სოფლები. კორელიის რევკომი საჩქარო ზომებს ხმარობს ადგილობრივ მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თანდათან ირკვევა ფინეთის როლი ამ ავანტიურაში. გამორკვეულია სრულიად ოფიციალური კავშირი ფინეთსა და ბანდიტებს შორის. ბანდიტები ფინეთის ტერიტორიაზე სარგებლობდენ მთავრობის ტელეფონის ქსელით.

### კორელიის ავანტიურის ლიკვიდაცია

**პეტროგრადი,** 10 თებერვალი (რადიო). ჩვენი ნაწილები განაგრძობენ კორელიის სოფლების ერთი მეორეზე დაჭერას, ერეკებიან ბანდიტებს დასავლეთით ფინეთის საზღვრებისაკენ. ბანდიტები ვერ უძლებენ წითელ ნაწილების შეტევას და ბრუნდებიან თავიანთ ნაწილებში, გადადიან ფინეთის ტერიტორიაზე. კორელიის სამხრეთ ნაწილი სრულიად გაწმენდილია ბანდებისაგან, მხოლოდ ჩრდილოეთის რაიონში არის ბანდიტების უმნიშვნელო ბრბოები.

კორელიის რაიონის 8 თებერვლის სამხედრო ცნობით: „წითლების მზვერავმა რაზმებმა, დაეწიენ რა უკან დახეულ მოწინააღმდეგეს, ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს სოფელი ვოლნოვოლოცკაია, ამ რიგათ წითლები თითქმის სრულიად მივიდნენ ფინეთის საზღვრამდი და მიიღეს ზომები მის დასაცავად. მოწინააღმდეგემ სოფელ ვოლნოვოლოცკიდან დაიხია ჩრდილოეთის მიმართულებით. იგივე სამხედრო ცნობა იტყობინება, რომ 7 თებერვალს წითლებმა დაიჭირეს იუხტინსკაია.

## შორეულ აღმოსავლეთის ამბები

### იაპონიის პასუხისმგებლობა

**მოსკოვი.** 12 თებერვალი. (რადიო) ჩიტიდან 6 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: იაპონიის დეკლარაციის გამო ციმბირიდან ჯარის გაყვანის შესახებ შორეულ აღმოსავლეთის დელეგატმა ვაშინგტონის კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომლითაც იაპონელებს ბრალდებათ გამცემლობა. მემორანდუმი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში სისხლის ღვრის პასუხისმგებლობას აკისრებს იაპონიას.

### წითელ პარტიზანთა მოქმედება.

წითელ პარტიზანთა თავდასხმა სპასკ—ხაბაროვსკის რკინის გზაზე გრძელდება. სადგურ კლონიგთან ხიდი აფეთქებულია, ბევრ ადგილებში გზები გაფუჭებული.

### რწმუნებულებათა ჩამორთევა.

მერკულოვის წარმომადგენელს ვაშინგტონში, რომელმაც მოითხოვა იაპონიის ჯარების გაყვანა, მერკულოვმა ჩამოართვა რწმუნებულება პატრიოტულ მოღვაწეობისათვის.

## საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა

### სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობის დელეგატების საერთო რაოდენობა უდრის 197 კაცს. სამანდატო კომისიის ცნობები ეხება მხოლოდ 193-ს, ვინაიდან 4 დელეგატს არ შეუვსიათ ანკეტები. ამ რიცხვიდან 163 კომუნისტია, 1 კანდიდატი კ. პ., 5 კ. ა. კ. წევრი, 1 ს. რევ., 3 სოც. ფედ., 1 სინდიკალისტი, უპარტიონი—15 და 3, რომელთაც არ აღნიშნეს თავიანთი პარტიული კუთვნილება

ეროვნების მიხედვით ყრილობის შემადგენლობა ასეთია: ქართველი 102, სომეხი 36, რუსი 28, ოსი 1, თათარი 2, პოლონელი 1, ებრაელი 18, ბერძენი 4, ოსმალო 1.

დელეგატების საერთო რაოდენობიდან 41 დაკავშირებულია მიწასთან, 145 მასთან სრულიად დაუკავშირებელნი, ხოლო 7 დელეგატის შესახებ ცნობები არ არის.

### ახალი სატარიფო პოლიტიკა.

(ამხ. ლეინის მოხსენება.)

სამხედრო კომუნიზმის ეპოქის სატარიფო პოლიტიკას საფუძვლად ედო საშუალებათა სიმცირე, რომელთა გაღება შეეძლო სახელმწიფოს თავის სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ის საზღვრავდა ხელფასს ხელოვნური ნორმით, რომელიც დაბრკოლებებს წარმოადგენდა წარმოებითი ძალებისათვის.

მრეწველობის მთავარი დარგების მდგომარეობა შეგვინარჩუნებს პროლეტარიატს და ამით განამტკიცებს მუშათა კლასის პოლიტიკურ ხელისუფლებას. ეს განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შრომა მიიღებს სწორ შეფასებას, რომელიც მუშებს საშუალებას მისცემს აღადგინონ დახარჯული ენერგია, რისთვისაც საჭიროა მიეცეთ მათ საცხოვრებელი მინიმუმი.

ეს აყენებს საკითხს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატარიფო ზოლების შემოღებისას.

სამუშაო ხელფასის დარგში ვალდებულებათა აუსრულებლობის შესაძლებლობათა ასაცილებლად, ყველა ღონისძიებანი უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი არსებული რეალური რესურსებით. საჭიროა სამუშაო ხელფასის მტკიცე ფონდის შექმნა, რომელშიაც შედის პროდუქტები, ფართედ მოსახმარი საგნები, ფულის ნიშნები და წარმოების საგნები

შრომის ხელფასის დარგში უნდა იქნეს უარყოფილი გათანასწორების პრინციპი და შემოღებული მოქნილი, 17 ხარისხიანი ქსელი, ამასთან გიცემა ყველაფერ იმის, რაც შედის სამუშაო ხელფასში, უნდა წარმოებდეს ქარხნის მმართველობის საშუალებით.

ვინაიდან სამუშაო ხელფასით მშრომელთა ყველა მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ შრომის შედეგების მაქსიმუმის დროს, ამიტომ ნაყოფიერების ნორმად ითვლება უმაღლეს კვალიფიკაციის მუშის მაქსიმალური ტეხნიკურად შესაძლებელი ნაყოფიერება, მოწყობილობის არსებულ მდგომარეობის დროს, ვინაიდან პრემიების სისტემა გაუგებარია ფართე მასსისათვის, საჭირ. გადასვლა ნარდ სისტემაზე, როგორც შრომის ხელფასის ცხად, გასაგებ და საუკეთესო სახეზე.

აქ ყოველი მუშა ადვილად შეამჩნევს კავშირს შრომის ნაყოფიერებასა და სამუშაო ხელფასს შორის.

ნარდი ხელფასის ცალკე სახეებს წარმოადგენენ საბიუჯეტო სანარდო და ინდივიდუალური სისტემები.

კერძო წარმოებათა (საკონცესიო, საიჯარო და სხ.) შრომის მოწესრიგების საუკეთესო ფორმას წარმოადგენს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც შენდება რა თქმა უნდა, პროლეტარულ რევოლიუციის პოლიტიკურ და ეკონომიურ მონაპოვართა საფუძვლიბზე

მომხსენებელი შემდეგ ეხება საკითხს, თუ რა გააკეთა ს. პ. კ. ს. სატარიფო განყოფილებას ახალ სატარიფო პოლიტიკის განხორციელების საქმეში, და აღნიშნავს, რომ ახალი ტარიფები გატარდა მხოლოდ რესურსების საფუძვლიანი გამორკვევის შემდეგ, როდესაც სწორად იქნა აღრიცხული რესპუბლიკის ნატურალური და სასურსათო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს მუშებს და მოსამსახურეებს უახლოეს 10 თვისათვის.

მოხსენება მთავრდება იმის აღნიშნით, რომ ახალი სატარიფო პოლიტიკა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით—ნგრევის წინააღმდეგ უტყუარი იარაღია, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამარჯვება მოვიპოვოთ მშვიდობიან სამეურნეო ფრონტზე.

### ამხ. გინსბურგის მოხსენება.

ამხ. გინსბურგის მოხსენებაც აგრეთვე ეხება სატარიფო საკითხს; მომხსენებელი მთელი რიგი დებულებებით განმარტავს ახალი პოლიტიკის განსხვავებას ძველისაგან.

ყრილობის მონაწილეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ, ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომელსაც დამატებით მოვათავსებთ.

### დამშეულთა დახმარება.

**ამხ. ყურულაშვილის მოხსენება.**

ამხ. ყურულაშვილის მოხსენება ეხება პროფკავშირების მიერ მოქმედების გაძლიერების საკითხს ვოლგის დამშეულთა დასახმარებლად.

მოხსენება საჭიროდ სცნობს ყველა სახის სურსათის გადარიცხვას, პროფკავშირთა მიერ დამშეულთა დამხმარე კვირის ორგანიზაციას, რომლის განმავლობაში ყველა პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ყოველი ზომა დახმარების გასაძლიერებლად.

ყრილობა არ ხსნის კამათს მოხსენების გამო და იღებს სათანადო რეზოლიუციას, რომელსაც დამატებით მოვათავსებთ

### წითელ პროფინტერნში შესვლა.

**ამხ. გაუსმანის მოხსენება.**

მოხსენებას, რომელიც ეხება პროფმოძრაობის ისტორიას და მისი გამარჯვებით მიმდინარე ბრძოლას პროფკავშირების ყვითელ ამსტერდამის საერთაშორისო გაერთიანების დამშლელ გავლენასთან, ისმენენ დიდი ყურადღებით და ფარავენ მხურვალე ტაშით.

ამხ. ყურულაშვილის წინადადებით, ყრილობა იღებს წინადადებას დაადასტუროს თავისი შესვლა წითელ პროფინტერნში.

### მიმართვა საქართველოს პროლეტარიატისადმი.

რიგში დგას რეზოლიუციის განხილვა ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. პრეზიდიუმის წინადადებით, ყრილობა რეზოლიუციის მაგივრად იღებს მიმართვას საქართველოს მშრომელებისადმი, რომელშიაც სამარცხვინო დაღს ასვამს როგორც საზღვარ-გარედ მყოფ კონტრევოლიუციონერების გამოსვლას გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ გამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა პროვოკაციულ ხმებს. ამ მიმართვას მოვიყვანთ დამატებით.

### მიმართვა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისადმი.

სიტყვა ეძლევა ამხ. [illegible] რომელიც მიმართავს ყრილობას შემდეგი სიტყვით:

ყრილობამ პასუხი უნდა გასცეს ამ პროვოკაციაზე არა მარტო საქართველოს მშრომელთადმი, არამედ მთელ მსოფლიოს მშრომელთადმი მიმართვით.

ნოე ჟორდანია,—განაგრძობს ორატორი,—მიმართავს უმაღლეს საბჭოს თხოვნით აქედან წითელი ლაშქრის გაყვანის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ყველა ყოფილ მთავრობების—მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების აღდგენის შესახებ. ამ ორი თხოვნიდან თქვენ ხედავთ, რომ მენშევიკების პოლიტიკა წინანდებურად მიმართულია მუშების ინტერესების წინააღმდეგ და ემსახურება იმპერიალიზმის ინტერესებს.

მენშევიკები იყვნენ თავკამოდებითი მომხრენი აქ გერმანულ ჯარების ყოფნისა, ისინი იმუდარებოდნენ აგრეთვე ინგლისის ჯარების აქ დატოვებაზე—ეს მაშინ, როცა მათ უნდოდათ აქ განემტკიცებინათ კაპიტალიზმის პოზიციები. და მაშინ ეს ჯარები არ ემუქრებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ხოლო აი, დიდი მუშური რევოლიუციის მატარებელი, რომელიც აქ დგას თვით მშრომელთა სურვილით, უნდა იქნას, მათი აზრით, გაყვანილი.

მენშევიკებმა იციან, რომ ამიერკავკასიას ემუქრება საერთაშორისო იმპერიალიზმი. მათ იციან, რომ მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ჩვენ გვჭირია აქ წითელი არმია და ამიტომ მოითხოვენ მის გაყვანას.

ისინი გამოდიან, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის რეაქციის იდეის მატარებელნი, როცა მოითხოვენ დაშნაკების და მუსავატელების ძალა-უფლების აღდგენას; ამით აშკარავდება მათი პოზიცია. ამაზე ჩვენ უნდა უპასუხოთ მიმართვით საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. ჩვენ ვიტყვით, რომ წითელი არმია ინტერნაციონალურია, რომ ის აქ იმყოფება ჩვენი თხოვნით, რომ ის განთავისუფლების მატარებელია და რომ დამონების ტენდენციებს აქ ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროს, ეხლა კი, პირიქით, სუფევს განმანთავისუფლებელი ტენდენციები. მენშევიკები, — ათავებს ამხ. ოკუჯავა,—მიუთითებენ რეფერენდუმზე, მაგრამ ჩვენ ვტყვით, რომ ნამდვილი რეფერენდუმი იქნება საბჭოების ის ყრილობა, რომელიც შეიკრიბება აქ 25 თებერვალს.

დიდი ტაშით ყრილობა იღებს ამხ. ოკუჯავას წინადადებას და ავალებს პრეზიდიუმს, გამოიმუშავოს მიმართვა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედვას ამხ. ოკუჯავას მიერ წამოყენებული თეზისები.

### არჩევნები

ყრილობა შეუდგა არჩევნებს. სპკს პრეზიდიუმში აირჩიეს კომფრაქციის მიერ წამოყენებულ სიით:

წევრები ამხ-ბი: ლადო დუმბაძე, ჯუღელი, კიკნაძე, ოდილავაძე, ყურულაშვილი, პოსეცკი, ბოლქვაძე, ვირაპი, ბახუტოვი, ლეჟავა, მორჩილაძე, მაშკევიჩი და ელბაკიანი (უპარტიო); კანდიდატები: ნუცუბიძე, ჩახუნაშვილი (მემარცხენე ს.-ფედერალისტი), მიხაილოვი და შავერდოვისა.

საკონტროლო-სარევიზიო კომისიაში, აგრეთვე კომფრაქციის სიით აირჩიეს: წევრები—მარქაროვი, არჩვაძე და დოგუნოვი, კანდიდატები—ასრიბეგოვი და ნობიძე.

### ყრილობის დახურვა.

ამხ. ყურულაშვილის მოკლე სიტყვის შემდეგ, რომელიც ხაზს უსვამს ყრილობის მუშაობის დიდ მნიშვნელობას და მისი გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას, ინტერნაციონალის სიმღერის დროს ყრილობა ცხადდება დახურულად.

## ქრონიკა

**მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა აგრარულ რეფორმის, რესპუბლიკის მაშტაბით, ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო გეგმის გამოსამუშავებლად შეადგინა კომისია შემდეგის შემადგენლობით თავმჯდომარე—ვასილი გოგილაძე, წევრები: ი. რომანიშვილი, ბ. კიზირია, ქ. ქარუმიძე, დ. აბაშიძე, ე. შალამბერიძე და გურულაშვილი.

### პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში.

**ბიბლიოთეკის ქვეგანყოფილება.** თბილისში ამ ჟამათ არსებობს 13 ბიბლიოთეკა, რომელნიც იმყოფებიან პოლიტ. განათლების მთავარ მმართველობის გამგებლობაში; ეს რაოდენობა შეიძლება უზარალოთ შემოკლდეს ერთი ბიბლიოთეკით, სახელდობ: ახალ წიგნების განყოფილება პლეხანოვის პროსპექტზე შეიძლება შეუერთდეს ახალ წიგნების ძირითად ბიბლიოთეკას. პროვინციაში 1091 წ. 15 დეკემბრამდე იყო 60 ბიბლიოთეკა და 385 სამკითხველო, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ხსენებული რაოდენობა შეიძლება შემოკლდეს ერთი რაიონის რამდენიმე ბიბლიოთეკის შეერთებით იმავე რაიონის სამკითხველოებთან და შეიძლება დაყვანილ იქნეს 40 ბიბლიოთეკამდე და 250 სამკითხველომდე.

საბიბლიოთეკო კურსების დაარსება თბილისსა და პროვინციაში ისახავს მიზნათ საბიბლიოთეკო საქმის სფეროში მუშაკთა ერთმანეთთან მუდმივ კავშირს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროვინციას. ინსტრუქტორი როცა მიდის ამა თუ იმ მაზრაში, ადგილობრივ იკვლევს, თუ რა ცვლილებაა საჭირო, სად უნდა გაიხსნას ახალი, ან შემოკლდეს და შეერთდეს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები და თან გზა და გზა ინსტრუქციას უკეთებს ბიბლიოთეკების მუშაკთ. ინსტრუქტორებს უნდა ეძლიოთ ლიტერატურა.

**საკლუბო ქვე-განყოფილება.**

ამ ჟამათ, როდესაც თბილისის კლუბები გადაეცა პროფსაბჭოს საკლუბო განყოფილებების გამგებლობაში, საკლუბო ქვე განყოფილების მუშაობას აქვს წმინდა მეთოდიური ხასიათი, გარდა სახალხო სახლისა, სადაც საკლუბო ქვე-განყოფილება აწარმოებს

მთელ მუშაობას და ინახავს ტეხნიკურ და ადმინისტრატიულ აპარატს.

საორგანიზაციო - საინსტრუქტორო და მეთოდიურ მუშაობის სფეროში დღემდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: გამომუშავებულია დებულება სარაიონო კლუბებში საკლუბო მუშაობის მეთოდებისა, ადგილობრივ კლუბისა და ქოხ სამკითხველოებისთვის, ინსტრუქცია კლუბის გამგეებისთვის, პოლიტ-განათლების მუშაობის ანგარიშის ფორმა, ცირკულიარი ქოხ-სამკითხველოების მუშაობის განმტკიცების შესახებ, დებულება ცენტრალურ და ადგილობრივ საკლუბო საბჭოებისთვის.

ხსენებულ მასალების ნაწილი გადათარგმნილია ქართულ ენაზე და იგზავნება მაზრებში.

სტატისტიკისა და ინფორმაციის სფეროში ქვეგანყოფილების მდგომარეობა ამ ჟამათ მძიმეა. პროვინცია სუსტად გზავნის ანგარიშებს; კლუბების ქსელი თბილისში, მას შემდეგ, რომ ეს საქმე გადაეცა პროფსაბჭოს საკლუბო განყოფილებას, იმყოფება საკლუბო ქვეგანყოფილების გავლენის და ხელმძღვანელობის გარეშე. უკანასკნელი ცნობები გვაქვს მხოლოდ სამხრ.-ოსეთიდან, სადაც 20 ქოხი-სამკითხველო არსებობს და 2 კლუბი და სიღნაღის მაზრიდან (3 კლუბი, 2 სახალხო სახლი და 10 ქოხი-სამკითხველო).

## შრომის სახ. კომისარიატში.

**აგიტაცია შრომის გადასახადის შესახებ.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა ბეგრისა და შრომის გადასახადის განყოფილებასთან დაარსდეს აგიტატორების კადრი, რომელთა მოვალეობა იქნება ადგილებში წასვლა და მიტინგების გამართვა მოსახლეობისთვის შრომის გადასახადის მნიშვნელობის ასახსნელათ.

**შრომის გადასახადის ნორმები ქალაქებში.**

ბეგრისა და შრომის გადასახადის განყოფილებას მიანდვეს ქალაქის აღმასკომთან ერთათ გამოიმუშავოს შრომის გადასახადის ნორმები ქალაქის მოსახლეობისათვის.

**შრომის განყოფილება ხაშურში.**

შრომის აქამდე დამოუკიდებელი განყოფილება ხაშურში, შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, დაექვემდებარა გორის შრომის განყოფილებას.

**სამხრეთ ოსეთის შრომის განყოფილება.**

სამხრეთ ოსეთში დაარსდეს შრომის განყოფილება, რომელიც უშუალოთ ექვემდებარება შრომის სახალხო კომისარიატს.

**მკურნალთა პერსონალის განაწილება.**

შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მკურნალთა პერსონალის განაწილების შესახებ, რომლის თანახმათ უმაღლეს პერსონალს ანაწილებს ჯანმთელობის სახ. კომისარიატი, დაბალს—კი (მომვლელი ქალები, მოსამსახურეები და სხვა) შრომის სახ. კომისარიატის მუშათა ძალის აღმრიცხველი განყოფილება.

**შრომის განყოფილებათა სათემო რწმუნებულები.**

კოლეგიამ დაადგინა შრომის სამაზრო განყოფილებათა სათემო რწმუნებულების მოვალეობა დააკისროს სათემო აღმასკომების წევრებს.

**სოციალური დაზღვევა და შრომის გადასახადი.**

კოლეგიამ აუცილებლათ სცნო გავრცელდოს სოციალური დაზღვევის მოქმედება იმ პირებზედაც, რომლებიც მუშაობენ შრომის გადასახადის გადასახდელათ და დაადგინა ცალკე მუხლათ შეიტანოს დებულებაში სოციალურ დაზღვევის შესახებ.

**შრომის სახ. კომისარიატის საკონტროლო აპარატის მუშაობა.**

საკონტროლო აპარატის მუშაობა პირველში სუსტი იყო, მაგრამ მან თანდათან სისტემატიური ხასიათი მიიღო. მან გამოიკვლია მომეტებულ ნაწილათ კერძო წარმოებები (ყავახანები, რესტორანები, სასადილოები). გამოკვლევას აწარმოებდნენ პროფკავშირებთან ერთათ, უმთავრესათ სახალხო კვების განყოფილებასთან. გამოკვლევის შედეგათ მუაშაობიდან მოხსნეს 40 კაცამდე, რომლებიც შესულიყვნენ მუშათა ძალის აღმრიცხველ განყოფილების გარეშე.

**ექსპერტების კომისიის მუშაობა.**

მუშების კვალიფიკაციის გამსაზღვრელმა საექსპერტო კომისიამ მოახდინა 4 სხდომა—გამოცდა, რომლების დროს უნდა გამოეცადათ 171 უმუშევარი. გამოცდა კარგათ დაიჭირა 79 კაცმა, ვერ დაიჭირა 12, გადაიდვა 4 უმუშევრის გამოცდა და გამოცდაზე არ მოვიდა—76 კაცი.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

## საგარეო ვაჭრობა.

**ბათომის ნავთსადგურში.**

მოვიდნენ: 2 თებერვალს—იტალიის გემი „მარიანინა“ 200 ტონა სხვა და სხვა ტვირთით და 5 მგზავრით და 3 იალქნიანი ხომალდი საერთო ტვირთით—500 ფუთი და 3 თებერვალს გემები: საფრანგეთისა—„მარშალ ფოში“ და რუსეთის გემი „ფელიქს ძერჟინსკი“—ტვირთის საერთო რაოდენობით - 266 ტონა და 59 მგზავრით და 1 იალქნიანი გემი.

გავიდნენ ნავთსადგურიდან: 2 თებერვალს იტალიის გემი „ალბანია“ კონსტანტინეპოლში 1,031 ფუთი სხვა და სხვა საქონლით, და 4 იალქნიანი და საბუქსირო ხომალდი 2,930 ფ. საქონლით; 3 თებერვალს—რუსის გემი „დიმიტრი“ ოდესაში 1,000 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 105 მგზავრით და 11 იალქნიანი და საბუქსირო ხომალდი.

ნავთსადგურში 3 თებერვლის ღამის 12 საათისთვის სულ იდგა: გემი 10 და იალქნიანი ხომალდი—84.

**ფოთის ნავთსადგურის გაუმჯობესება.**

საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ს ს. ათაევი წავიდა დონის როსტოვში საიჯარო ხელშეკრულების დასადებათ მიწის ამომღებ მანქანა „პოლუქსის“ შესახებ და მის ფოთში გამოსაგზავნათ ნავთსადგურის ფსკერის გასაღრმავებლათ.

**საქონლის გაცვლა მოსკოვთან**

საქართველოს წარმომადგენლის და რ. ს. ფ. ს. რ. შორის მიღწეულ შეთანხმების თანახმათ განზრახული აქვთ საქართველოდან მოსკოვში გადაზიდვა ღვინისა, ჩაისა და სხვა ძვირფას ტვირთისა. თბილისიდან მოსკოვამდე, ყოველ 5 დღეში ერთხელ. სულ უნდა წავიდეს 35 სამარშრუტო მატარებელი, თითო 40 ვაგონი. ამნაირათ გადაზიდვა გაგრძელდება თითქმის 6 თვეს.

პირველი მარშრუტი შედგენილ იქნება 2 ვაგონი ჩაისა, 5 ვაგონი ხილისა, 13 ვაგონი ღვინისა და 5—სხვა და სხვა ტვირთისა. ყოველი მარშრუტის სატარიფო ქირის ღირებულება უდრის დაახლოვებით - 3,5 მილიარდ მანეთს.

**ვაჭრობა შვეიცარიასთან.**

თბილისში შვეიცარიიდან ჩამოვიდა სავაჭრო მისია მიმ. მეტჩიკის მეთაურობით; მეტჩიკი დგას შვეიცარიის საქსოვი და სამანუფაქტურო ფაბრიკების კონსორციუმის სათავეში. ამ დღეებში იგი მოსამსახურეთა შტაბით მიმგზავრება რ. ს. ფ. ს. რ. მისიის მოსვლის მიზანს შეადგენს—საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ პირობების გაცნობა. კონსორციუმს განზრახვა აქვს ამიერ კავკასიაში და რ. ს. ფ. ს. რ. ინტენსიური სავაჭრო მოქმედება განავითაროს.

## ფინანსები

**სარეწავო გადასახადი**

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების ცნობებით, სარეწავო გადასახადი ხაზინებში 3 თებერვლამდე შემოსულა ამდენი:

| | |
|---|---|
| თბილისის ხაზ. | 17,766,484,165 მ. |
| ბათომის | 6,538,195,818 მ. |
| ქუთაისის | 809,574,750 მ |
| ფოთის | 283,836,250 მ. |
| გორის | 385,958,100 მ. |
| შულავრის | 256,800,000 მ. |
| სიღნაღის | 193,073,700 მ. |
| ახალქალაქის | 24,720,059 მ. |
| ახალციხის | 24,193,850 მ. |
| თელავის | 59,807,588 მ. |
| ზესტაფონის | 84,857,750 მ. |
| ჭიათურის | 37,351,500 მ. |
| ონის | 40,172,850 მ. |
| ოზურგეთის | 63,128,500 მ. |
| სენაკის | 219,950,505 მ. |
| სულ | 26,848,104,930 მ. |

სულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეწავო გადასახადის სარაიონო საკრებულოებმა ეს გადასახადი გააწერეს 60 მილიარდამდე. ეს გაწერვა ზოგმა განასაჩივრა ამავ საკრებულოებში და გადასახადის დაკლება ითხოვა; ვარაუდით ეს თხოვნები დაკმაყოფილებულ იქნება ჯამით არა უმეტეს 5 მილიარდისა.

## მრეწველობა,

**ცემენტის ქარხნის პროექტი.**

ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომის დროს განიხილეს ს. მ. ჟ. ს. მიერ წარმოდგენილი პროექტი კავთისხევში ცემენტის ქარხნის გამართვის შესახებ.

მოთხოვნილება ცემენტის ამ ჟამათ იმდენათ შესამჩნევია, რომ მას თხოულობენ უცხოელებიც-კი. რუსეთის ყოფილ ცემენტის ქარხნებში მუშაობას ან არ აწარმოებენ, ან ძლიერ შეამოკლეს, მაშასადამე იქიდან ცემენტის მიღების იმედი არ უნდა ვიქონიოთ; კავთისხევის ცემენტის მადანმა შეუძლიან მოგვცეს უმაღლეს ხარისხის პორტლანდ-ცემენტი; ეს მადანი დიდიცაა და ქარხნის აშენებაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მით უმეტეს, რომ მთელი სამისო აკადემიური მუშაობა უკვე შესრულებულია.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა პროექტი სადგურ კავთისხევთან ცემენტის ქარხნის აშენებისა, მაგრამ ამასთანავე დაადგინა ვინაიდან ცემენტის ქარხნის აშენებას მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერ-კავკასიისთვის, მიენდოს ს. მ. უ. ს. მოლაპარაკება გამართოს რუსეთის, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან და თურქესტანთან საღსრის აღმოჩენის შესახებ ზემოხსენებულ საქმის სწრაფი განხორციელებისთვის.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

**ფოთის რკინის გზის ხაზის აღდგენა.**

ფოთის ხაზის აღსადგენათ საჭირო მუშაობისთვის ბელაგორის, ქუთაისის და ახალ-სენაკის კარიერებიდან მოწყობილი იყო ქვის მასიური გადაზიდვა. გადაწყვეტილია ეს გადაზიდვა აწარმოვონ სპეციალური სამუშაო მატარებლებით, რომელთა შესადგენათ აუცილებლათ საჭიროა გამოეყოს სამუშაო პარკი 200 პლატფორმისგან, რომელთაგან 120 უნდა გაიგზავნოს ბელაგორის კარიერში 4 მატარებლის შესადგენათ, 45—ქუთაისისაში და 35—ახალსენაკისაში. ეს დავალება წარსულ დეკემბრის გასულს თითქმის მთლათ იყო შესრულებული.

**სათბობის სამკვირეულის შედეგი.**

ამიერ კავკასიის რკინისგზების ტერიტორიაზე 10-დან 30 წარსულ დეკემბრამდე, გაიმართა სათბობის სამკვირეული მოხმარების პუნქტებში სათბობის მარაგის გასადიდებლათ.

გადაწყვეტილი იყო სათბობის დატვირთვა საქართველოს ფარგლებში, სადგურ სოღტ-ბულახს გარდა, ყოველ დღე მიეცათ 35 ვაგონი. ამასთანავე პარალელურათ იყო გადაკვეთილი შეშის დატვირთვის ნორმა სომხეთისთვის—11 ვაგონი და აზერბეიჯანისთვის—20 ვაგონი, ხოლო ეს ნორმა შეუსრულებელი დარჩა ტვირთის წარმოუდგენლობის გამო.

რაც შეეხება საქართველოს, აქ სატყეო კომიტეტთან შეთანხმებით დამატებით გამოიმუშავეს დაწვრილებითი გეგმა იმისა, თუ სატყეო კომიტეტის შეშა რომელ სადგურებზე და რა დროს დატვირთულიყო. დატვირთვა უმთავრესათ განზრახულია სადგურებზე: აჯამეთი, ფოთი, ნატანები, ლანჩხუთი, ჭალადიდი, წიფა, მოლითი და სუზათოვო. სამკვირეულის წყალობით საქართველოს ფარგლებში დატვირთეს 641 ვაგონი შეშა, რაც შეადგენს 30,5 ვაგონს დღე ღამეში, გარდა სოღტ-ბულახის სადგურისა, სადაც ამ ხნის განმავლობაში დატვირთული იყო კიდევ 187 ვაგონი შეშა ან 9 ვაგონი დღე ღამეში.

სადგურ ტყიბულზე იმავე დროს დატვირთეს 185 ვაგონი ქვანახშირი, ე. ი. დღე-ღამეში საშუალოთ—9 ვაგონი. შეშის დატვირთვის გადაკვეთილი ნორმა თითქმის შესრულებულია.

შეშით დატვირთული ვაგონები გაიგზავნა ნაწილობრივ სამარშრუტო მატარებლებით, რომლებიც სამკვირეულის განმავლობაში გაიმართა— 8, ხოლო ნაწილობრივ ჩვეულებრივ საქონლის მატარებლებით.

# წარმოებითი პროფკავშირებში

**პროფტეხნიკური განათლება.**

**საქართველოს პროფკავშირის საბჭოს კულტურულ განყოფილების ანგარიში.**

საქართველოს პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს კულტურული განყოფილება პროფტეხნიკური განათლების გასატარებლად განათლების მთავარ სამმართველოსთან ერთად 1921 წ. ივლისის დასაწყისში შეუდგა მუშათა ფაკულტეტის სექტორის დაარსებას. 15 აგვისტომდი მუშაობას ჰქონდა თეორეტიული, საპროგრამო—აღმრიცხველი ხასიათი: მუშავდებოდა დასაარსებელ სხვა და სხვა ტიპის სასწავლებლების ფორმები, დებულებები, პროგრამები, ხარჯთაღრიცხვა, წესდებოდა დაჯილდოვების. ნორმები და სხვ.

საქართველოს პროფკავშირების საბჭოს და ცალკე კავშირების კულტ-განყოფილებების მიერ, მუშათა ფაკულტეტის სექტორთან და, ცალკე საკითხების გადასაწყვეტად მოწვეულ სპეცებთან ერთად, გამომუშავებულ იქნა მუშაობის შემდეგი პროგრამა:

ა) გეგმიანი სამუშაოები: 1. მუშათა ფაკულტეტის შექმნა; 2. საღამოს ტეხნიკუმების მოწყობა სხვა და სხვა სპეციალობაზე; 3. საქარხნო მოწაფეების შკოლების ორგანიზაცია.

ბ) დამკვრელი მუშაობა; 1. სხვა და სხვა სპეციალობის კურსების გახსნა მუშათა კადრების სასწრაფოდ მოსამზადებლად.

შემდეგათ გახსნილია და მოქმედებენ მუშებისათვის პროფტეხნიკურის ხასიათის შემდეგი დაწესებულებები: თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან გახსნილია მუშათა ფაკულტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა მოამზადოს კადრები და გაიაროს პროგრამა უმაღლეს შკოლის რეფორმების გასატარებლად საინჟინრო და სასოფლო სამეურნეო დარგებში. ამ ჟამად პროფკავშირების და არმიის მიერ გაგზავნილია მუშათა ფაკულტეტზე 198 კაცი, რომლებიდანაც მიმდინარე წლის შემოდგომისათვის 40 პროც. სავსებით მომზადებული იქნება უმაღლეს შკოლებში ლექციების მოსმენისათვის. 1922 წელში გახსნეს დამატებითად ახალი მიღება (შტატიანი სტუდენტების (რიცხვამდი 250 კაცი). მუშათა ფაკულტეტის მასწავლებლების ლექციებზე დასწრება გამოიხატება 97 პროც. მოსწავლეების 92 პროც. ცოდნის შეთვისების უნარი და სურვილი დიდია. საქმის წარმატებითი განვითარებისათვის საჭიროა: 1. მუშათა ფაკულტეტის გაფართოვება და პარალელურ კურსების გახსნა ქართულ ენაზე; 2. ჯგუფების მიღება მედიკურ და საზოგადო მეცნიერების ფაკულტეტებისათვის მოსამზადებლად. 3. მოეწყოს დამატებითად ქიმიის, წარმოების ენციკლოპედიის, ფიზიკის და ბიოლოგიის კაბინეტები და ლაბორატორიები. 4. მოეწყოს ინტერნატი მოსულ სტუდენტებისათვის. მასწავლებლების შემადგენლობა უდრის 41 კაცს, აქიდან: 37 პროც. პროფესორი, დოცენტი და უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლები—დანარჩენი დასრულებულ უმაღლეს განათლებით და ტეხნიკუმის მასწავლებლები.

სექტორის დაარსების მომენტიდან გამოყოფილ იქნა განსაკუთრებულ ერთეულად საგუბერნიო პროფკანათლების განყოფილების უფლებებით რკინისგზის აგენტების მოსამზადებელი განყოფილება, რომელმაც გახსნა შემდეგი კურსები: 1. ტელეგრაფის (თბილისში), 2 საერთო მოსამზადებელი (მორაპანში), 3. მემანქანეების თანაშემწეების (შორაპანი), 4. გზის ხელოსნები (შორაპანში), 5. ტეხნიკური აგენტების შორაპანში), 6. ტელეგრაფისტების (შორაპანში), 7. კანტორშჩიკების“ და მოლარეების (ხაშურში), 8. ტელეგრაფისტების (ხაშურში), 9. ტეხნიკურ აგენტების (ბათომში, 10. ტელეგრაფისტების (ბათომში), 11. ტეხნიკური აგენტების (თბილისში), 12. მოსამზადებელი კურსების თბილისში), 13 პროფეს. ქალებისათვის, 14. მემანქანეების (თბილისში), 15. მემანქანეების თანაშემწეების და სხ. ზედამხედველების. კურსანტების საერთო რიცხვი უდრის 343 კაცს.

გამოშვებულია 80 მომზადებული მუშა და მოსამსახურე.

ამის გარდა გახსნილია შემდეგი კურსები:

მშენებლების კავშირის კურსები (განყოფილებები: კერამიული, გიდრო ტეხნიკური; კომუნალურ მუშაკთა კავშირის კურსები (ცეცხლის ჩაქრობის საქმე, ელექტროტეხნიკები); მელითონეთა კურსები (სასოფლო-სამეურნეო მანქანების შენება); საბჭოთა მუშაკების კავშირის კურსები (მანქანაზე წერა, სტენოგრაფია; პოლიგრაფიულ წარმოების კურსები); სართავ-საქსოვ მრეწველობის კურსები და საღამოს საამშენებლო კურსები მოზრდილთათვის (კურსი 3 წლიანია—იძლევა ინჟენრის წოდებას).

სულ გახსნილია სასწავლებლები: უმაღლესი 1, საშვალო კურსები—1, სხვა და სხვა სპეციალობის კურსები კვალიფიციური მუშაკების მოსამზადებლად, როგორც თბილისში ისე რესპუბლიკის სხვა და სხვა პუნქტებში გახსნილია 29. სწავლობდენ ყველა კურსებზე 1167 კაცი. კურსი დაასრულა 232 კაცმა.

სექტორის კონსულტატიურ ბიუროს მიერ დამუშავებულია პროგრამები და სამოსწავლო გეგმები შემდეგი სასწავლებლების: ორ საფეხურიანი სამთო და კერამიული კურსები, სახალხო კავშირის მუშაკების კურსები (რადიო-მექანიკების, რადიომმენელების, ტელეგრაფისტების, ზედამხედ ელების და სხვ.). საკვები პროდუქტების გადამუშავების და კონსერვების მოსამზადებელი კურსები, საფეიქრო მრეწველობის ორ საფეხურიანი კურსები.

ამ ჟამად სრულდება ქარხნის მოწაფეთა სკოლების პროგრამების დამუშავება. მოზრდილთა შორის პროფტეხნიკური განათლების სფეროში გაკეთებულია ძალიან ბევრი, თუ მივიღებთ მხედველობაში წარსულში ასეთი დაწესებულების და გამოცდილების უქონლობას და აგრეთვე ფულის ნიშნების და მოწყობილობის დროზე მიუწოდებლობას. საქმის წარმატებისათვის საჭიროა მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა, რეალური ფულის ნიშნები და მაშინ დიდი მნიშვნელობის და სიძნელით მუშაობა, მოგვცემს ბრწყინვალე შედეგებს.

**პროფკავშირების კლუბები.**

9 თებერვალს მუშათა სახალხო შენობაში მოხდა პროფკავშირების კლუბის გახსნა. საქართველოს პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის და პროფკავშირების კლუბის გამგეობის სახელით კლუბი გახსნა მოკლე მისასალმებელ სიტყვით ამხ. ყურულაშვილმა, რის შემდეგ კლუბის გახსნას ესალმებიან: განათლების კომისარიატისაგან - ამხ. მარიამ ორახელაშვილი, მთავარ [illegible] გან - ამხ. [illegible] წითელი არმიისაგან ამხ. ნიკო ოკუჯავა და სხვ. მისალმების შემდეგ შესდგა საკონცერტო განყოფილება, სადაც მონაწილეობას იღებდნენ: [illegible] ჩენკო (სკრიპკა), ცოვიანოვი (ვიოლონჩელი), ხართიშვილი და გროვისა (როიალი), ვოლხოვისა პეტიპა (დეკლარაცია), სარაჯიშვილი, ბოკოვისა და პოლიაევი (სიმღერა), მორდკონი და პლეტნიოვი (ცეკვა)

**სარედაქციო კოლეგია.**


# ამიერ-კავკასიის რკინის გზებს

სჭირიათ სხვა და სხვა საზომის და სხვა და სხვა სატყეო მასალის დამზადება, დამზადების მიმღებთა მსურველებმა დახურულ კონვერტში უნდა შემოიტანონ განცხადება სამასალო სამეურნეო განყოფილების უფროსის ხელზე. (გზების სამმართველოში, ვაგზლის და ელისაბედის ქუჩების კუთხე) პირობების ვრცლად აღნუსხვით 1 მარტისთვის 1922 წლისა.

დამზადება შეიძლება გადაცემულ იქმნას რამდენიმე პირზე პატარა პატარა პარტიებით.

ტეხნიკური პირობების და სატყეო მასალის სავციფიკაციის განხილვა შეიძლება სამასალო სამეურნეო განყოფილების კანცელარიაში, კვირა უქმეების გარდა, ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

გამოვიდა და იყიდება

# მოძრავი საეკლესიო კალენდარი

**1922 წლისათვის**

კალენდარი დასტამბულია კარგს სქელ ქაღალდზე. მისი შეძენა შეიძლება „გოსიზდატ“-ში, ლორის-მელიქოვის ქ., № 5, განათლების კომისარიატის შენობა. (6—4)

გაზეთების ძველ აგენტთა

# საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა („გოსიზდატ“-ი) წინადადებას აძლევს პროვინციის კონტრ-აგენტებს და იმ პირთ, რომლებიც თავის დროზე აწარმოებდენ პერიოდული გამოცემების პროვინციებში გავრცელების საქმეს, მოაწყონ ჩამოტარებით გაყიდვა და ხელის მოწერის მიღება ყველა ცენტრალურ გაზეთებზე, და უჩვენონ, ამასთანავე, ყველა დაკვეთებისათვის მისამართი: „გოსიზდატ“-ში: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 5. დაკვეთებისათანავე, უნდა გაეგზავნოს „გოსიზდატ“ს ფულის საჭირო რაოდენობა, ურომლისოდ გაზეთი არავის გაეგზავნება. (6—4)

# მიიღება განცხადებები

**გაზეთებში „კომუნისტი“, „პრავდა გრუზიი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლ“.**

ფასი 1 სტრიქონ პეტიტში 15,000 მან. თეატრების, კონცერტების, ლექციების და შრომის წინადადებების მიიღება განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში), ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფონი 6—43. განათლების კომისარიატის შენობა.

**გ ა გ ზ ა ვ ნ ა**

გაზეთები: „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „კარმირ ასტღ“ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც არ გამოგზავნიან ხელის მოწერის საფასურს იანვრისა და თებერვლის თვეებისათვის 20 თებერვლამდე **უსათუოდ მოესპობათ.**

მისამართი და ხელის მოწერის ვადა უნდა აცნობონ არა ცალკე წერილით, არამედ აუცილებლად ფულის გადასატან საფოსტო ბარათზე.

**1922 წლისათვის** **1922 წლისათვის**

# მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „პრავდა გრუზია“-ზე

1922 წლისათვის

**ხელის მოწერის პირობები:**

ერთი თვით ტფილისში და პროვინციაში მიწოდებით 120.000 მან.
გაუგზავნელად 100.000 მან.

**ერთის ნომრის ფასი ტფილისში 5000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების, ქოხ სამკითხველოთა და წითელ არმიელთა კლუბებისათვის 1 თვით გაგზავნით 60.000 მან, გაუგზავნელად—50.000 მან.

ხელის მოწერისა და განცხადებათა მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში, განათლების კომისარიატი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდი.

ტელეფონი № 6—43.

# 1922 წელს

# გამოვა საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

„ჯეჯილი“, მოზრდილთათვის, წელიწადი—მეოცდა ცამეტე.

„ნაკადული“, მცირე წლოვანთათვის, წელიწადი—მეჩვიდმეტე.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით.

**ხელის მოწერა მიიღება ორივე ჟურნალზე ყოველ თვიურად და ღირს** 14 ათასი მან., ცალკე—„ნაკადული“—7 ათასი, „ჯეჯილი“—7 ათასი მან. სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოდ.

მისამართი: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია. (2—

**დ ა ი კ ა რ გ ა**

— შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ ბორჩალოს მაზრის შრომის განყოფილების გამგის მიერ 4 იანვარს დაკარგული რგვალი ბეჭედი სახელმწიფო ღერბით, დღიდან მისი დაკარგვისა, ჩათვლილია გაუქმებულად. მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. შრომის სახალხო კომისარიატი.

— დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვასილ ამბაკოს ძე შენგელიას სახელობაზე. გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ.

— დაკარგული პირადობის მოწმობა და სალექციო წიგნაკი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის სიმონ ნიტიფოს ძე ქარცივაძისა ჩასთვალოს გაუქმებულად.




საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა. კრუზენშტეინის ქ., № 4.